

მერაბ კალანდიაძე

**ნავოლეონის ეპოქის ქართული  
გეგმეზარი**

**გამომცემლობა ინტელექტი**  
თბილისი 2020

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და შეეხება სოხუმელი ისტორიკოსის კონსტანტინე (კოტე) ბოჭორიშვილის შემოქმედებას, მის მეცნიერულ საქმიანობას. ეს საკითხი ისტორიოგრაფიაში შესწავლილი არ ყოფილა. ამიტომ, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შეგვევსო ეს ხარვეზი და მასზე საგანგებო ყურადღება გაგვემახვილებინა. ეს საშუალებას მოგცემს შევავსოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული კიდევ ერთი სუფთა ფურცელი და ამ დარგში თეთრი ლაქები კიდევ უფრო ნაკლები დარჩება.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისათვის, ისტორიკოსებისათვის და დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის.

**რედაქტორი** თეიმურაზ პაპასქირი

**რეცენზენტები:** ომარ არდაშელია  
კახა კვაშილავა

ვუძღვნი დიდი სიყვარულით,  
ჩემს ვასიკოს, გიორგის, ნიკას,  
თამარს და სალის

## **შესავალი**

ქართულ ისტორიოგრაფიაში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემებიდან ყველაზე უფრო კარგად, ვფიქრობთ, სწორედ, საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქა უნდა იყოს შესწავლილი. ამ პრობლემისადმი ასეთი დიდი ინტერესი ადვილი გასაგებია და, პირველ ყოვლისა, მისი ისტორიული მნიშვნელობით იყო განპირობებული. საქმე ის გახლავთ, რომ მან ღრმა კვალი დაამჩნია კაცობრიობის განვითარებას. ის იყო ეტაპობრივი მოვლენა მსოფლიო ისტორიაში. ეს იმით გამოიხატა, რომ გადაიდგა გრანდიოზული ნაბიჯი ახალი ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში. მან კატალიზატორის როლი შეასრულა და დააჩქარა მოდერნიზაციის პროცესი. საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შემდეგ ახალი ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებამ შეუქცევადი ხასიათი შეიძინა. ის ახალი ინდუსტრიული საზოგადოების ფორმირების პროცესში მნიშვნელოვან მიჯნად გვევლინება. ყველა გზას თავისუფალი მენარმოებისაკენ მიყვავართ. ამიტომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და მთლად დამაჯერებელი როდია. საფრანგეთს უნდა გაეწვოდეს ეს გზა, რომ მიეღწია იმისათვის რაც არის. რევოლუციამ კატალიზატორის როლი შეასრულა და დააჩქარა ის პროცესები, რომელიც საზოგადოებაში მიმდინარეობდა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებად გვევლინება. ამიტომ ამ მემკვიდრეობის შეუფასებლობა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია და ამით, ჩვენი ღრმა რწმენით, ევროპის ნებისმიერი პატარა სახელმწიფო იამაყებდა.

ალბათ, მკითხველი დიდსულოვნად მაპატიებს სენტიმენტალიზმს და მკაცრად არ განმსჯის ამის გამო, მაგრამ ეს ლირიული გადახვევა შეიძლება ინტერესს მოკლებული არ აღმოჩნდეს და გარკვეული მეცნიერული დატვირთვაც შეიძინოს. აქ საუბარია იმაზე თუ როგორ მოხდა ჩემი დაინტერესება საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ ბონაპარტის ბობოქარი ეპოპეით, მისი ცხოვრებით და მოღვაწეობით. ეს, ვფიქრობთ, საინტერესო რაკურსი იქნებოდა.

ნაპოლეონის კოლორიტული ფიგურით ჩვენი დაინტერესება, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და, პირველ ყოვლისა, მამის ლევან კალანდაძის, რომელიც პროფესიით ინჟინერი, რკინიგზელი, იყო გავლენის ლოგიკური შედეგია. მან მირჩია წამეკითხა აკად. ევგენი ტარლეს წიგნი ნაპოლეონზე. ასე დაიწყო ჩემი დაინტერესება მსოფლიოს ისტორიის ამ დიდი პიროვნებით. ეს ჯერ კიდევ სკოლაში მოხდა. უნივერსიტეტში ამ დაინტერესებამ კიდევ უფრო გაშალა ფრთები და ახალი ასპექტები შეიძინა. ეს იყო ამ საკითხის ისტორიოგრაფით დაინტერესება. ეს, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და პროფ. გივი კილურაძის გავლენითაა გამოწვეული. გარდა ამისა ჩვენი ყურადღება მიიპყრო ნაპოლეონის კანონშემოქმედმა საქმიანობამ. „ადმინისტრაციულმა ბონაპარტიზმმა“.

ასე გაგრძელდა ჩემი გატაცება ამ თემით. მან მალე მეცნიერული ელფერი შეიძინა სულ მინდოდა დამეწერა ნაპოლეონზე. თავდაპირველად, ამას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა, სამეცნიერო პოპულარულ ხასიათს ატარებდა და კომპილაციას წარმოადგენდა. ეს არცაა გასაკვირი. მე ამ საკითხში საკუთარი გზის ძიების პროცესში ვიმყოფებოდი. ეს ამ თემატიკით დაინტერესების პირველ ეტაპად შეიძლება იქნას მოაზრებული. ჩვენ შევეცადეთ წვლილი შეგვეტანა და შეძლებისდაგვარად წინ წაგვეწია საქართველოში ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის სწავლება, პოპულარიზაცია. ცხადია, ეს არ იყო პატარა საქმე, მაგრამ ეს მეცნიერული კვლევა არ იყო და უკმარობის გრძნობა მაინც რჩებოდა. ჩვენ განვავარძობდით საკუთარი გზის ძიებას. შეიძლება ითქვას, რომ როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს, ვიპოვეთ ჩვენი ნიშა, კუთხე. ეს იყო ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლა საქართველოში ანუ ქართული ნაპოლეონიანა. ეს ამ პრობლემით დაინ-

ტერესების მეორე ეტაპი იყო. მან მეცნიერული ხასიათი მიიღო. ეს უკვე სიახლე იყო, ქართული კონტექსტი გააჩნდა და აღნიშნული საკითხის შესწავლის პირველ მცდელობად გვევლინება.

\* \* \*

წინამდებარე ნაშრომი შეეხება ორ სერიოზულ პრობლემას: 1. ის წარმოადგენს ისტორიკოს კონსტანტინე (კოტე) ბოჭორიშვილის შემოქმედების შესწავლის პირველ მცდელობას. 2. მისი შემოქმედების მაგალითზე წამოვჭერთ, ჩვენი აზრით, ერთი საკმაოდ აქტუალური საკითხი მეცნიერის ბედი პოსტსაბჭოთა პერიოდში. ეს საკითხი ამ კუთხით შესწავლილი არ ყოფილა.

ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად, ისახავს შეისწავლოს სოხუმელი ისტორიკოსის კონსტანტინე (კოტე) ბოჭორიშვილის შემოქმედება, სადაც ნაპოლეონის ეპოქის კვლევას, შესწავლას, ცენტრალური ადგილი უჭირავს და დიდი ყურადღება ეთმობა. ეს არის ყველაზე ღირებული, რაც მან ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან ქართული ნაპოლეონიანას ერთი საინტერესო ფურცელი შეავსო. ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი მთავარი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

აღნიშნული პრობლემით ჩვენი დაინტერესება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა და, უპირატესად, ორი გარემოებით გახლავთ განპირობებული. მას გააჩნია ორი მხარე წმინდა აკადემიური და პოლიტიკური. დავიწყოთ იმით, რომ სოხუმელი ისტორიკოსის კონსტანტინე (კოტე) ბოჭორიშვილის სახით საქმე გვაქვს ნაპოლეონის ეპოქის საინტერესო მკვლევართან არამარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთ, სახელდობრ, ყოფილ საბჭოთა კავშირში. ეს უკვე რალაცას უნდა ნიშნავდეს და იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის აღიარება იყო. მაშინდელი გადასახედიდან საკავშირო, ხოლო დღევანდელი გადასახედიდან უკვე საერთაშორისო. მისი საინტერესო გამოკვლევა „საფრანგეთის არმია, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა კონსულოების და იმპე-

რიის დროს (1799-1815)“. იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია. ეს ქართული ნაპოლეონიანას დიდი წარმატება იყო. ამიტომ ეს საკითხი მივინწყების ნისლში რომ არ გახვეულიყო, რისი დიდი ალბათობაც არსებობს, გადავწყვიტეთ მასზე ყურადღების გამახვილება და ის საგანგებო შესწავლის საგანი გაგვეხადა. ეს მისი ერთი მხარე — წმინდა აკადემიური.

მას გააჩნია მეორე მხარე პოლიტიკური. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს ეს, ასეთია ჩვენი რეალობა და მას გვერდს ვერ აუვლი. საქმე ის გახლავთ, რომ 90-იანი წლების დასაწყისში კოტე ბოჭორიშვილი ქრება ისტორიული მეცნიერების რადარებიდან. ფაქტობრივად, ის ჩამოშორდა მეცნიერულ საქმიანობას. სულ სხვა გზა აირჩია. ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი რით იყო გამოწვეული მისი ასეთი მკვეთრი შემობრუნება? რა თქმა უნდა, კარგი ცხოვრებით არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, მისი ფესვები 90-იან წლებში საქართველოში არსებულ სოციალურ, ყოფით, პრობლემებში უნდა ვეძიოთ. ყოველ შემთხვევაში ეს ზედაპირზე ძვეს. შეიძლება იყო სხვა მიზეზებიც, რომელზეც ჩვენ მხოლოდ ვარაუდები შეგვიძლია გამოვთქვათ, ხოლო ჭეშმარიტი მიზეზი, ალბათ, მის ადამიანურ ხასიათშია. მისი ასეთი ნაბიჯი, ჩვენი აზრით, გადარჩენის ინსტიქტით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული. დიდი ალბათობით მას საფუძვლად ედო 90-იანი წლების ქართული რეალობა. ნებსით თუ უნებლიეთ ხომ არ აღმოჩნდა ის ამ რთული პოლიტიკური ვითარების მსხვერპლი? საკითხის პოლიტიკური მხარე, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში მდგომარეობს. მის წინაშე დადგა „ყოფნა არ ყოფნის“ საკითხი. ამის გვერდის ავლა გამართლებული არ უნდა ჩანდეს და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის.

დღეს ხშირად გაიგონებთ საუბარს საქართველოში შვიდი წელიწადია უსამართლობა მძვინვარებს. მეორენი იძახიან ცხრა წელიწადიაო. შენ პირს შაქარი. ნეტავი მართლაც ასე იყოს. მე მაშინ ბედნიერი ვიქნებოდი. სინამდვილეში სულ სხვაგვარადაა. საქართველოში უსამართლობა 99 წელშია გადამდგარი და სულ მალე 2021 წლის 25 თებერვალს ასი წელი შეუსრულდება. მის ათვლის ნერტილად კი, რა თქმა უნდა, 1921 წლის 25 თებერვალი უნდა

ავილოთ. ის სხვადასხვა ფორმით ხორციელდებოდა. პროლეტარიატის დიდ ბელადს სიფილისტიკს<sup>1</sup> უყვარდა თქმა „სახელმწიფო ეს არის საზოგადოების გასრესის მექანიზმი“ მას კვერს უკრავდა მისი საქმის ღირსეული გამგრძელებელი, პარანოიკი „არ არსებობს ადამიანი, არ არის პრობლემა“. ყველაფერი ეს სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ფორმით ხორციელდებოდა. შედეგი კი ერთი იყო და საზოგადოებისათვის მეტად სავალალო. ამიტომ მათ შორის ვერავითარ პრინციპულ განსხვავებას ვერ ვხედავთ. ფაქტობრივად, არჩევანი არის ცუდსა და უარესს შორის.

სიფილისტიკის და პარანოიკის დროს უსასტიკესი პოლიტიკური ტერორი მძვირთარებდა, რომელსაც ისტორიაში ანალოგი ძალზე ძნელია მოეძებნოს. ასე დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. საჭირო იყო რალაციის შეცვლა. ეს უსამართლობის ერთი და ყველაზე მძიმე ფორმა იყო.

„უძრაობის პერიოდში“ ის ჩანაცვლა მორალურმა ტერორმა. ფიზიკურად არ გაგანადგურებდნენ, მაგრამ სულიერად მოგსპობდნენ. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა პროფ. უშანგი სიდამონიძის სადოქტორო დისერტაციის ირგვლის ამტყდარი არაჯანსაღი აუიოტაუი. მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა. მას მეცნიერულ პაექრობაში მოპოვებული სამეცნიერო ხარისხი ჩამოართვა პარტიულმა ორგანომ თბილისის ცენტრალურმა კომიტეტმა (ტეკამ). ეს უსამართლობის მეორე ფორმა იყო. ამიტომ ძალიან გულუბრყვილოდ გაისმის მოსაზრება თითოქოსდა საბჭოთა პერიოდში ისტორიული მეცნიერება ხელისუფლების ზენოლას არ განიცდიდა. ეს ძალიან შორსაა სინამდვილისგან.

პოსტსაბჭოთა პერიოდში ეს პროცესი სოციალურ ელფერს იძენს და, უმთავრესად, ყოფით, პრობლემებში ჰპოვებს ასახვას. უმუშევრობა, მძიმე მატერიალური ყოფა. ეს უკვე მესამე ფორმაა. კონსტანტინე ბოჭორიშვილის სახით, ამ რთული სოციალური ყოფის მსხვერპლთან ხომ არ უნდა გვქონდეს საქმე? განსაკუთრებით მტიკინეულად მიგვაჩნია, ის გარემოება, რომ მას, ალბათ, მრავა-

<sup>1</sup> მკითხველის წინაშე ბოდიშს ვიხდი ამ სიტყვების გამო, მაგრამ, სწორედ, ამ ფორმით მიინდა გამოვხატოთ ჩემი უკიდურესი სიძულვილი ამ ორი პიროვნებისადმი. მათ გვარებს არ ვასახელებთ. მკითხველი ამას თავადაც ადვილად მიხვდება.

ლი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეეძლო, მაგრამ არსებობს დიდი ალბათობა, რომ თავის გადარჩენის მიზნით მან სულ სხვა გზა აირჩია. რას ვიზამთ ასეთია ჩვენი რეალობა. მას ვერსად ვერ გავექცევით. ეტყობა, ვერც ის გაექცა. ალბათ, ასეთი იყო მისი ბედი. ანაღვლებს ეს ვინმეს? რა თქმა უნდა, არავის. როდემდე?

ყოველივე ამას, ვფიქრობთ, ძალიან კარგად მიესადაგება პოეტ ტარიელ ჭანტურიას სიტყვები. „სიცოცხლე ერთხელ გვეძლევა და ისიც გვენძრევა“. ეს სიტყვები იმიტომ გვენიშნა, რომ მასში საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში ადამიანისადმი გულგრილი დამოკიდებულების ანარეკლი დავინახეთ, რაც განსაზღვრავს ამ ფრაზის ფასეულობას.

ჩვენი როგორც ისტორიკოსის მთავარ პლუსად, საბჭოთა რეალობისადმი მკვეთრად გამოკვეთილი ნეგატიური დამოკიდებულება მიგვაჩნია, ხოლო პოსტსაბჭოთა ეპოქისადმი, რომელიც ბევრ რამეში, გაჭრილი ვაშლივით, ნააგავს თავის წინამორბედს და ზოგჯერ მის გაგრძელებად გვევლინება, კრიტიკულად ვართ განწყობილი, რომელიც მის შემდგომ სრულყოფას, დახვეწას, ისახავს მიზნად. ფაქტობრივად, არჩევანი გვაქვს ცუდსა და უარესს შორის. აი ეს არის ჩვენი რეალობა. არც არაფერს არ ვალამაზებთ და არც არაფერს ვამუქებთ.

სოხუმელი ისტორიკოსის კონსტანტინე ბოჭორიშვილის შემოქმედებაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი ყურადღება ეთმობა ნაპოლეონის ეპოქის შესწავლას. მისი სოლიდური გამოკვლევა „საფრანგეთის არმია, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა კონსულობის და იმპერიის დროს (1799-1815)“ ქართული ნაპოლეონიანას მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია. მან შეძლო თავისი სიტყვა ეთქვა ქართულ ნაპოლეონიანაში, რაც მისი წარმატება იყო. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ამ საკითხზე საგანგებო ყურადღება გაგვემახვილებინა და სპეციალური შესწავლის საგანი გაგვეხადა.

ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით, შევეხებით ნაშრომის შინაარსს. ის შედგება შესავალის, ორი კარის და დასკვნისაგან. პირველ კარში განხილულია ორი საკითხი: კოტე ბოჭორიშვილის



ბიოგრაფიული მონაცემები და მისი სერიოზული გამოკვლევა ნაპოლეონზე. მეორე კარს ცოტა სხვა დატვირთვა გააჩნია და მიზანშეწონილად ვცანით ყურადღების გამახვილება სპეციალისტების მიერ კოტე ბოჭორიშვილის ნაშრომის მაღალ შეფასებაზე, რომელიც ქართული ისტორიოგრაფიის, კონკრეტულად კი, ქართული ნაპოლეონიანას აღიარებად მიგვაჩნია. ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი რა საჭირო იყო ეს მონაკვეთი? რამდენად აუცილებელი იყო ამ მასალების ამ სახით პუბლიკაცია? ამ მასალის პუბლიკაცია, ჩვენი აზრით, გამართლებული უნდა ჩანდეს. შეიძლება ეს გაგვეკეთებინა ამ ფორმით, შეიძლება გაგვეკეთებინა სულ სხვა ფორმით. დანართის სახით. მაგრამ ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. ამ მასალის პუბლიკაციას ერთი კონკრეტული მიზანი გააჩნია. ეს საინტერესო მასალა ხელმისაწვდომი გახადოს არა მარტო სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის, არამედ ფართო საზოგადოებისათვის. ვფიქრობთ, ეს მასალა იმსახურებს ამას. წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, მას ორმაგი დატვირთვა გააჩნია: ისტორიოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი. რომელი რომელში მდგომარეობს? ეს საინტერესო მასალა კოტე ბოჭორიშვილის გამოკვლევის „საფანგეთის არმის როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა კონსულოების და იმპერიის დროს (1799-1815)“ შეფასების პირველ მცდელობად გვევლინება და ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია. ამავე დროს მას აქვს წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა და ჩვენთვის ისტორიოგრაფიულ წყაროდ გვევლინება, რომელიც საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო კარგად გავიცნობიეროთ კოტე ბოჭორიშვილის ნაშრომის ავკარგიანობა. გვეხმარება წარსულის რეკონსტრუქციაში. უფრო ზუსტად აღვადგინოთ მომხდარი ფაქტი.

## **პარი პირველი**

### **ქართული ნაპოლეონიანას საინტერესო ფურცელი**

## **თავი პირველი**

### **ისტორიკოსის უცნაური გედი**

წინამდებარე ნაშრომი, როგორც სათაურიდანაც კარგად ჩანს, ისტორიოგრაფიულ ხასიათის ატარებს და მიზნად ისახავს გააშუქოს სოხუმელი ისტორიკოსის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ კონსტანტინე (კოტე) ბოჭორიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი შემოქმედება. ის იყო ნაპოლეონის ეპოქის ერთ-ერთი ერუდირებული მკვლევარი საქართველოში, რომელმაც ქართული ნაპოლეონიანას კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი გადაშალა. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო სახუმარო საქმე და ამის შეუფასებლობა, ვფიქრობთ, სწორი არ იქნება. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებაა და ამის უგულვებელყოფა გამართლებული არ უნდა ჩანდეს.

აღნიშნული საკითხის შესწავლა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია და, აი, რატომ. როგორც უკვე ითქვა ეს საკითხი ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ არ გამხდარა საგანგებო შესწავლის საგანი და წინამდებარე ნაშრომი ამ პრობლემის გაშუქების პირველი მცდელობაა. ეს საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული კიდევ ერთი სუფთა ფურცელი და თეთრი ლაქები ამ დარგში კიდევ უფრო ნაკლები დარჩება. ფაქტობრივად, ამით მის სახელს დავინყებთ საგანგებოდ, რისი ალბათობაც დროთა განმავლობაში არსებობს. პროფ. ბორის პორშნევის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს გახლავთ „ქალწულებრივი თემა“, რომელიც ჩვენამდე სრულიად დაუმუშავებელი იყო.

კონსტანტინე ბოჭორიშვილის საკანდიდატო დისერტაცია „საფრანგეთის არმია, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა კონსულობის და იმპერიის დროს (1799-1815)“ ქართული ნაპოლეონიანას ორგანულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და ვერ მოვწყვეტთ მას. მან თავისი სიტყვა თქვა საქართველოში ნაპოლეონის ეპოქის შესწავლის საქმეში. ამ კუთხით საკითხის განხილვა, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება და საშუალებას მოგვცემს, შევავსოთ ქართული ნაპოლეონიანას კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი.

მის სახელს ვახსენებთ ჩვენ ორ ნაშრომში „ქართული ნაპოლეონიანა“ (1.84) და „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლოესი ისტორიის კათედრის ისტორია“ (2.64.), რაც ამ საკითხის დასმად შეიძლება მივიჩნიოთ.

ტრადიციულად ამ სახის ისტორიოგრაფიული ნაშრომები იწერება ისტორიკოსის გარდაცვალების შემდეგ და მისი შემოქმედების შეჯამების თავისებურ მცდელობად გვევლინება. ეს არის საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. ამჯერად ეს ტრადიცია დარღვეულია. რატომ? ხომ არ ავჩქარდით? ჩვენი აზრით — არა. საქმე გვაქვს საგანგებო შემთხვევასთან, რომელიც ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს. ისტორიკოსი, რომელზედაც ვაპირებთ დავწეროთ დღესაც მწყობრშია, მაგრამ გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ჩამოშორდა ისტორიულ მეცნიერებას და, როგორც ეტყობა, დაბრუნებას არც აპირებს. ამიტომ გადავწყვიტეთ დაგვეფიქსირებინა მისი კვალი ქართულ ისტორიოგრაფიაში.

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ გამოუქვეყნებელი დოკუმენტები, პირველ რიგში კი, ხელნაწერები, დისერტაციის დაცვის მასალები, რომლის კვალს გადავანყდით არქივში და პირველად შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში. ამან საშუალება მოგვცა ეს თემა კიდევ უფრო სრულყოფილად, ამომწურავად, წარმოგვეჩინა. (3) ამ პირველხარისხოვან მასალას ორმაგი დატვირთვა გააჩნია. წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული. ის გვეხმარება წარსულის რეკონსტრუქციის საქმეში და ამავე დროს მისი შეფასების პირველ მცდელობად გვევლინება.

გასული საუკუნის 80-იანი წლები მისი შემოქმედების ოპტიმალურ ხანად შეიძლება მოვიხაროთ. მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და ამ პრობლემატიკაზე გამოაქვეყნა რამდენიმე საინტერესო ნაშრომი, რომლებიც უმთავრესად დაიბეჭდა ავტორიტეტულ ისტორიულ ჟურნალებში „ვოპროსი ისტორიი“, „ნოვია ი ნოვეიშაია ისტორია“, „ფრანცუზსკი ეჟეგოდნიკ“. ეს მისი წარმატება იყო და იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის აღიარება, რისი დაუნახაობა არ ივარგებს.

შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა მინიმუმი შესრულებული იქნა. დასაწყისი იმედისმომცემი იყო. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მან როგორც მკვლევარ-ისტორიკოსმა მხოლოდ პირველი ნაბიჯის გადადგმა მოახერხა, მაგრამ წარმატებით დაწყებულ საქმეს გაგრძელება არ მოჰყოლია. 90-იან წლებში მოვლენები სულ სხვაგვარად წარიმართა. მისი გზა ისტორიულ მეცნიერებათან გაიყარა. რატომ მოხდა ეს, ძნელი სათქმელია. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება, რომ მისი, როგორც მკვლევარი-ისტორიკოსის პოტენციური ბოლომდე არ ყოფილა რეალიზებული. პროგრამა მაქსიმუმის განხორციელება გაურკვეველი ვადით გადაიდო. იგი, როგორც მეცნიერ-ისტორიკოსი ბოლომდე არ თუ ვერ გაიხარჯა. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხის პერიოდიზაციასთან.

\* \* \*

ახლა მოდით ძალიან მოკლედ, სულ ორიოდ სიტყვით, თვალი გადავაავლოთ მის ბიოგრაფიას. ბ-ნ კოტე ბოჭორიშვილი საქართველოს ძირძველი კუთხის, აფხაზეთის მკვიდრია. დაიბადა 1954 წელს სოხუმში. სკოლის დასრულების შემდეგ 1971 წელს ის ჩაირიცხა სოხუმის მაქსიმ გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. აქ ის სწავლობდა 1974 წლამდე. ამ წელს ის სწავლის გასაგრძელებლად გადმოდის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. მესამე კურსზე. ის თავის ვიწრო სპეციალობად ირჩევს დასავლეთ ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალ და უახლეს ისტორიას. განსაკუთრებულად დიდ ინ-

ტერესს ამჟღავნებდა დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის, სახელდობრ, საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქისადმი. იმხანად კათედრას ხელმძღვანელობდა ცნობილი ისტორიკოსი პროფ. გივი კილურაძე, რომელიც იყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთი კომპეტენტური მკვლევარი, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ყოფილ საბჭოთა კავშირში. ბეჯითმა და მუყაითმა სტუდენტმა უმალ მიპიყრო ღვანლმოსილი მეცნიერის ყურადღება. მას ძალიან მოეწონა ახალგაზრდა ყმანვილის გატაცება საფრანგეთის დიდი რევოლუციით და ნაპოლეონის ეპოქით. ალბათ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ამ გატაცების პროფესიულ დაინტერესებაში გადაზრდის საქმეში პროფ. გივი კილურაძეს დიდი წვლილი მიუძღვის. ამ პრობლემატიკით დაინტერესების პირველმა სიმპტომებმა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს იჩინა თავი. პროფ. გივი კილურაძემ თავის მოწაფეს სადიპლომო ნაშრომის თემად შეურჩია მეტად საინტერესო პრობლემა „ნაპოლეონი, როგორც მხედართმთავარი“. ასეთი არჩევანი სავსებით გამართლებული ჩანდა. ამ საკითხზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერი იყო დაწერილი. 1977 წელს მან წარმატებით დაიცვა სადიპლომო ნაშრომი. ეს იყო დასავლეთ ევროპის ახალ ისტორიაში დაცული ერთ-ერთი საუკეთესო სადიპლომო შრომა. ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა მისი გადამუშავება, შემოკლება და მისი, როგორც ცალკე საინტერესო სტატიის სახით გამოქვეყნება. ასეთი ნაბიჯი სავსებით გამართლებული იქნებოდა და ამ თემაზე ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურით არათუ მაშინ, დღესაც არ ვართ განებივრებული. შემდგომში ამ ვაკუუმის შევსება წარმატებით სცადა პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილმა თავის საინტერესო ნიგში ნაპოლეონზე, რომლის ყურადღების ცენტრში ნაპოლეონის, როგორც მხედართმთავრის კოლორიტული ფიგურა დგას. (4. გვ. 119-160). შესაძლოა, ასეთი ჩანაფიქრის რეალიზებას ხელი შეუშალა პროფ. გივი კილურაძის მოულოდნელმა გარდაცვალებამ 1978 წლის 5 აგვისტოს?

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ის დიდ პატივს მიაგებდა თავის მეცნიერ-ხელმძღვანელს, პროფ. გივი კილურაძეს. ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ხშირად ეს ასე არ ხდება. 1982 წელს თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტში აღინიშნა პროფ. გივი კილურაძის 60 წლისთავი. ბატონმა კოტე ბოჭორიშვილმა ამ სხდომის შესახებ მოკლე ინფორმაცია გამოაქვეყნა ავტორიტეტულ სამეცნიერო კრებულში „ფრანცუზსკი ეუეგოდნიკ“-ში (5, 259-263). ეს მასწავლებლის დაფასება იყო. დიდი რომაელი ციცერონი ამბობდა „არ არსებობს იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ვალი, ვიდრე სიკეთის დაბრუნება“.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი საკანდიდატო დისერტაციის მეცნიე-ხელმძღვანელად მოსკოველი ისტორიკოსის პროფ. ვლადლენ სიროტკინთან ერთად პროფ. გივი კილურაძის დატოვება. (ის პირველი წერია, ვლ. სიროტკინი კი მეორეა). ამით მან მასწავლებლის წინაშე ვალი პირნათლად მოიხადა. აქ ერთი პატარა ლირიული გადახვევა უნდა გავაკეთოთ, რომელსაც, ალბათ, მკითხველი დიდსულოვნად მომიტევებს. სხვათა შორის, ზუსტად ასე გვინდოდა მოვქცეულიყავით 1988 წელს ჩვენი საკანდიდატო დისერტაციის დაცვის დროს, მაგრამ ამის გაკეთებისაგან თავი შევიკავეთ პროფ. ილია ტაბალუასა და პროფ. გივი კილურაძეს შორის არსებული ურთიერთობის გამო. ამაზე გული მწყდება. უნივერსიტეტში რომ ვყოფილიყავი, ამას აუცილებლად გავაკეთებდი. ვინც კარგად მიცნობს, ჩემი სიტყვების გულწრფელობაში მას ეჭვი არ შეეპარება.

1977 წელს მან წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება. მან სწავლა გააგრძელა ასპირატურაში დასავლეთ ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის განხრით. 1977-1980 წლებში ის სწავლობდა მიზნობრივ ასპირანტურაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მუშაობდა საკანდიდატო დისერტაციაზე. 1980 წელს ის ასრულებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირატურას. ჩააბარა მინიმუმით გათვალისწინებული საგნები: სპეციალობა, სპეცკურსი, ფილოსოფია, უცხო ენა (ინგლისური და ფრანგული). 1981 წლის 1 სექტემბრიდან ის მუშაობას იწყებს სოხუმის მაქსიმ გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასისტენტად. მან გაიარა ძნელი გზა ასისტენტობიდან დოცენტობამდე. (3)

ამ მუხლჩაუხრელი შრომის ლოგიკურ დაგვირგვინებას წარმოადგენს მისი საკანდიდატო დისერტაცია „საფრანგეთის არმია როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა კონსულობის და იმპერიის დროს (1799-1815)“.

1982 წლის 17 ნოემბერს, ოთხშაბათს, თორმეტ საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიოს ისტორიის სპეციალიზირებულ სამეცნიერო საბჭოზე მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია „საფრანგეთის არმია, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა კონსულობის და იმპერიის დროს (1799-1815)“. ოფიციალური ოპონენტები იყვნენ: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი არჩილ ჩხეიძე და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოც. ჯუჯი ტუგან-ბარანოვსკი. ეს იყო ერთ-ერთი საინტერესო საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც ამ დარგში იქნა დაცული საქართველოში.

80-იან წლებში მისი სამსახურებრივი კარიერა მჭიდროდა და კავშირებული სოხუმის მ. გორკის სახელობის უნივერსიტეტთან. კონკრეტულ კარიერულ წინსვლაზე რამის თქმა ძალიან ძნელია მასალის სიმწირის გამო. საქმე ის გახლავთ, რომ 90-იანი წლების დასაწყისის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, როდესაც აფხაზეთი ძალით მონყვიტეს დედასამშობლოს, უნივერსიტეტის არქივი განადგურდა, რაც, ცხადია, აძნელებს მისი ბიოგრაფიის სრულყოფილად წარმოჩენას.

90-იანი წლების დასაწყისი მის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ნიშანსვეტად გვევლინება. ფაქტობრივად, აქედან იწყება მისი საქმიანობის მეორე პერიოდი, რომლის მთავარ ლაიტმოტივად ისტორიული მეცნიერებისაგან გაუცხოება გვევლინება. მნიშვნელოვანწილად, ვფიქრობთ, ამით აიხსნება, რომ მან ქართულ ისტორიოგრაფიული შედარებით მკრთალი კვალი დატოვა, ვიდრე ხელენიფებოდა. რით იყო გამოწვეული ეს, ძნელი სათქმელია. გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ ასეთი მკვეთრი მეტამორფოზი, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ გახლდათ და აშკარად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ ის, უპირველეს ყოვლისა, იმ პოლიტიკურ კატაკლიზმებთან ასოცირდე-

ბა, რომელსაც ადგილი ჰქონდა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ რეალობაში და იმ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით, უმთავრესად, ალბათ, მაინც სოციალური, ყოფითი, პრობლემებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. აი, ასეთია ამ საკითხის ჩვენეული ვერსია. ისტორიულმა მეცნიერებამ დაკარგა ნიჭიერი, ერუდირებული, ბეჯითი, შრომისმოყვარე მკვლევარი. აი, ეს გახლდათ სამწუხარო რეალობა. ჩვენ ვცადეთ მისი ახსნა, მაგრამ რა იყო სინამდვილეში, ძნელი სათქმელია.

ეს გახლავთ ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში პოსტსაბჭოთა პერიოდში მეცნიერის ბედის. ამ თემაზე ხმამაღლა საუბარს რატომღაც ერიდებიან, რაც უმართებულოდ მიგვაჩნია. ჩვენ ვცადეთ დაგვერღვია ეს ტრადიცია და ყურადღება გაგვემახვილებინა საკითხის ამ მხარეზე. ამ კუთხით საკითხის წარმოჩენა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ეს პრობლემა როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითქმის სრულიად შეუსწავლელია. ეს ყველაფერი საბჭოთა რეალობის გაგრძელებაა, რომლისგანაც არც ისე შორს ვართ წასული, როგორც გვგონია. ამას კარგად უნდა გაცნობიერება. თვისებრივი, არსობრივი, ცვლილებები არ მომხდარა. შეიცვალა მხოლოდ ფორმები. როგორც უკვე ითქვა, სტალინურ პერიოდში 20-30-იან წლებში ეს ხორციელდებოდა პოლიტიკური ტერორის საშუალებით, რომელსაც ისტორიაში ანალოგი ძნელია მოეძებნოს. შემდეგ, „უძრაობის ხანაში“, ლ. ბრეჟნევის დროს, „მორალური ტერორის“ ფორმა შეიძინა, ხოლო პოსტსაბჭოთა პერიოდში, უწინარესად, სოციალური, ყოფითი, პრობლემების სახითაა წარმოჩენილი. ფორმა იცვლება, შინაარსი იგივე რჩება. „სახელმწიფო ეს არის საზოგადოების გასრესის მექანიზმი“.



## ლიტერატურა

1. მ. კალანდაძე, ქართული ნაპოლეონიანა — მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას, მეორე სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 1998.
2. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, თბ., 2014.
3. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 471. ანაბეჭდი 51-საქმე 7484.
4. დ. ცისკარიშვილი, ნაპოლეონი. ნიგნი პირველი, გენერალი ბონაპარტი, თბ., 1994.
5. К. Бочоришвили, Научная сессия в Тбилиском государственном университете Французский Ежегодник 1982. М., 1984.
6. К. Бочоришвили, Французская армия как общественно-политическая сила во время консульства и империи (1799-1815 гг.) Тб., 1982.

## თავი მეორე

### კოტე ბოჭორიშვილის გამოკვლევები ნაპოლეონზე

ბ-ნ კოტე ბოჭორიშვილის მთავარი გამოკვლევაა „საფრანგეთის არმია, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა კონსულობის და იმპერიის დროს (1799-1815)“ (1). რომელმაც, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი წვლილი და ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიაში, სახელდობრ ქართულ ნაპოლეონიანაში. მან ქართული ნაპოლეონიანას კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი გადაშალა. ეს ნაშრომი სავსებით აკმაყოფილებდა იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს და იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო, რომლის გვერდის ავლა, წაყრუება, უმართებულო იქნებოდა. განსაკუთრებით ფასეულია ნაპოლეონის ეპოქის ისეთი კომპეტენტური მკვლევარების დადებითი შეფასება, როგორც, უდავოდ, იყვნენ: დოც. ჯუჩი ტუგან-ბარანოვსკი, პროფ. ვლადლენ სიროტკინი და პროფ. ეფიმ ჩერნიაკი. ეს, ალბათ, რალაცას უნდა ნიშნავდეს და აქ ნიჰილიზმი უადგილოა. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევების საკავშირო, ხოლო დღევანდელი გადასახედიდან საერთაშორისო აღიარება იყო.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბ-ნ კოტე ბოჭორიშვილმა შეძლო ისტორიულ მეცნიერებაში მოექცენა თავისი ბილიკი, საკუთარი ნიშა. ეს არ გახლავთ პატარა საქმე. ასეთად, უწინარესად, რა თქმა უნდა, ნაპოლეონის ეპოქა გვევლინება. ამ თემატიკის კვლევას ეძღვნება მისი შრომების დიდი ნაწილი. ეს არცაა გასაკვირი და პირველ ყოვლისა მისი მეცნიერ-ხელმძღვანელის პროფ. გივი კილურაძის კეთილისმყოფელი გავლენის ლოგიკური შედეგია.

მან კარგად დააკვლიანა ახალგაზრდა მკვლევარი და სწორი გზა უჩვენა, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ მის წარმატებას ველარ მოესწრო. ის 1978 წლიდან 5 აგვისტოს, უეცრად, გულის შეტევით, გარდაიცვალა.

ახლა მოკლედ გადავავლოთ თვალი მისი საინტერესო გამოკვლევის შინაარსს. მისი საკანდიდატო დისერტაცია „საფრანგეთის არმია, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა კონსულობის და იმპერიის დროს (1799-1815)“, (1) შედგება შესავლის, ორი თავის და დასკვნისაგან.

შესავალში საუბარია საკითხის დასმაზე, მის მეცნიერულ აქტუალობაზე. საკითხის წყაროთმცოდნეობაზე და ისტორიოგრაფიაზე, გამოკვლევის მეცნიერულ სიახლეზე, ქრონოლოგიურ ჩარჩოებზე, მეთოდოლოგიურ საფუძველზე, პრაქტიკულ დანიშნულებაზე (1.3-16).

პირველი თავი შეეხება აქტუალურ თემას „არმიის შესახებ ნაპოლეონის კანონმდებლობის სოციალური ასპექტები და მათი გამოყენების პრაქტიკა“. აქ ის ცდილობს გამოარკვიოს შემდეგი საკითხები:

1. ჯარისკაცებისა და ოფიცრების მატერიალური სტიმულირება და მისი კრიზისი 1812-1814 წლებში.

2. კანონმდებლობა და პრაქტიკა ჯარისკაცების ოფიცრებად დანიშნაურების დროს.

3. ერთჯერადი ნახალისების სამხედრო და სოციალური ფორმები.

4. სოციალური უზრუნველყოფის კომპლექსი სამხედროების და მათი ოჯახებისათვის (1.17).

მეორე თავში განილულია საინტერესო თემა „ნაპოლეონის არმია — როგორც ძირითადი წყარო ახალი არისტოკრატის რიგების შევსებისა პირველი იმპერიის დროს“, ამ კუთხით ეს საკითხი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაშუქებული არ ყოფილა და ეს სიახლე იყო. აქ, უმთავრესად, ის ყურადღებას აქცევს რამდენიმე საკითხს:

1. იმპერატორის გვარდია და სხვა ელიტარული შენაერთები — „ჯარისკაცები და ბურჟუაზია“.

2. საპატიო ლეგიონის ორდენი — ბონაპარტისტთა სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია.

3. ბურჟუაზიული არსი ტიტულის „ახალი“ არისტოკრატია და მისი განსხვავება ძველი ტიტულებისაგან (1.21).

დაბოლოს, დასკვნა, სადაც ის ცდილობს შეაჯამოს განეული კვლევის შედეგები (1.22-25).

უნინარესად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომის, სტრუქტურის, არქიტექტონიკის, შემდეგომი დახვეწა, სრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ შეიძლება იქნას. ეს აზრთა სხვადასხვაობა პრინციპულ ხასიათის არ ატარებს, უფრო გემოვნების საკითხია და არავითარ ჩრდილს ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას არ აყენებს. 1. უმჯობესი ხომ არ იქნებოდა საკითხის წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის ცალკე გამოყოფა და ნაშრომის დაყოფა არა ორ, არამედ სამ თავად? მნიშვნელოვანწილად, ალბათ ამით აიხსნება ის შეუსაბამობა, რომელიც შეიმჩნევა რეფერატის შესავალს და ძირითად ნაწილს შორის, რაც იმით გამოიხატება, რომ შესავალს გაცილებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი (1.3-16), ხოლო მთავარი საკითხების განხილვას უფრო ნაკლები ადგილი ეთმობა (1.16-23). სასურველი იქნებოდა უფრო დაბალანსებული მიდგომა, 2. ხომ არ აჯობებდა ჯერ წყაროთმცოდნეობა გაგვეჩინა და მერე ისტორიოგრაფია? იქნებ ეს უფრო თანმიმდევრული იქნებოდა? ეტყობა, ეს პატივცემულ ოპონენტებს წვრილმანებად მიუჩნევიათ და ყურადღება არ მიუქცევიათ.

დღევანდელი გადასახედიდან კოტე ბოჭორიშვილის საინტერესო გამოკვლევის მკაცრად განსჯა მარქსისტული სტერეოტიპების და შტამპების გამო, მიზანშეწონილი არ უნდა ჩანდეს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. ფაქტობრივად, საქმე ეხება საბჭოთა ისტორიოგრაფიის შეფასებას. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური.

საკითხისადმი მიდგომა იყო მეცნიერული, მაგრამ მან ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი მაქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საბჭოთა კავშირში არსებობდა ერთი მარქსისტულ-ლე-

ნინური იდეოლოგიის მონოპოლია. განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო, იდევენობდა, ითრგუნებოდა, უმალ ცრუმეცნიერულად ცხადდებოდა. ისტორიას არ ხელენიფება ერთი ჭეშმარიტება. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები, სწორედ, აქ ძევს. სახელმწიფო ცდილობს ძალით მოახვიოს თავს მეცნიერს სახელმწიფოსათვის სასურველი იდეოლოგია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური უნდა იყოს. ფაქტობრივად, საქმე, ეხებოდა ამ დარგის გადარჩენას, რომელიც, ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშე აღმოჩნდა.

მან აირჩია სერიოზული მეცნიერული პრობლემა და მოგვცა მისი მარქსისტული გაშუქება. ამ გზით მაშინ ძალიან ბევრი მიდიოდა. არჩევანი იყო ცუდსა და უარესს შორის. მან ფსონი ცუდზე გააკეთა და ეს იმ ექსტრემალური ვითარებიდან ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი ჩანდა. ამ კომპრომისის გამო მისი მკაცრად განსჯა ძნელია. თუ არა ეს კომპრომისი, მაშინ დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიაზე მშობლიურ ენაზე ის მწირი ლიტერატურაც არ გვექნებოდა, რომელიც გვაქვს.

თუ ამ ნაშრომს მარქსისტულ გარსს ჩამოვაშორებთ, მასში ღირებული, უეჭველად, დარჩება და ეს ფასეული უნდა გახდეს მეცნიერული განსჯის საგანი. პირველ ყოვლისა, ასეთად მიგვაჩნია მასში თავმოყრილი მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, უხვი ფაქტობრივი მასალა, მრავალფეროვანი პირველწყაროები, რომელთა დიდი ნაწილი დისერტანტს პირველად შემოაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში. ეს კი სიახლე იყო. ეს პირველხარისხოვანი მასალა, უეჭველად, ღირებულია, მას თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია. დღეს მას სულ სხვა ინტერპრეტაცია გაუკეთდება. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი, წინსვლა, აშკარაა და ამის დაუნახაობა, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ისტორიის მარქსისტულ-ლენინური ინტერპრეტაცია, რომელიც უნდა ვიფიქროთ, რომ ძალით იყო თავს მოხვეული, ცხადია, მიუღებელია. დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია. (ალბათ, ყველაზე უპრიანი იქნებოდა მარქსიზმისადმი მისი დამოკიდებულება ლოიალურად მივიჩნიოთ. დღევანდელი გადასახედიდან ისე მეჩვენე-

ბა, რომ ის ამ შემთხვევაში გულწრფელი არ იყო და ამიტომ მგონია, რომ ნორმალურ გარემოში ის მთელ რიგ საკვანძო საკითხებს სულ სხვაგვარად განიხილავდა. ამ მხრივ საინტერესოა ჩვენი ბოლო საუბარი ამ რამოდენიმე წლის წინ).

კოტე ბოჭორიშვილის საინტერესო გამოკვლევაში, ბუნებრივია, გვხვდება საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი მიდგომები, რომელიც იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიღებული იყო, მაგრამ დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია. ამ საკითხებზე ოპონენტები, საბჭოთა პერიოდში, ბუნებრივია, ხმას ვერ ამოიღებდნენ, თუმცა დარწმუნებული ვართ, კარგად ხედავდნენ. 1. მარქსისტულ-ლენინული იდეოლოგიის გავლენის კულმინაციად, ზენიტად, ნაშრომის სათაური გვესახება. „საფრანგეთის არმია როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა კონსულობის და იმპერიის დროს (1799-1815)“. აქცენტი კეთდება არა პიროვნებაზე, ნაპოლეონზე, არამედ კონსულობის და იმპერიის ეპოქაზე. ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და ისტორიაში პიროვნების როლისადმი გულგრილი დამოკიდებულების ლოგიკური შედეგია. არა გვგონია, რომ ავტორი ასე ფიქრობდა, მაგრამ ის იძულებულია ანგარიში გაუწიოს გაბატონებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას, დიქტატს, სხვა არჩევანი არ იყო. 2. ასეთად მიგვაჩნია საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაცია. ავტორი იზიარებდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიღებულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდი 1789-1794 წლები (1.17). საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასრულება 1794 წლის 9 თერმიდორის (27 ივლისის) გადატრიალებით, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ნაადრევი უნდა ჩანდეს. ამის თაობაზე სავსებით სამართლიანად მიუთითეს ქართველმა ისტორიკოსებმა. (2.3-418). თუმცა საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე ის ძალაში რჩებოდა და მიღებული იყო. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქად მიიჩნევს ათ წელს — 1789-1799 წლები (4.5.-6.-7). ეს უფრო სწორი მიდგომა შეიძლება იყოს. 3. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ფართოდ მოიკიდა ფეხი მოსაზრებამ, რომლის

თანახმად საფრანგეთში რევოლუციის წინ, მე-18 საუკუნის მიწურულს, არსებობდა ფეოდალურ-აბსოლუტიზტური სისტემა. ამგვარი რეციდივი გვხვდება კ. ბოჭორიშვილის საკანდიდატო დისერტაციაში (1.24). ეს იყო საკითხისადმი წმინდა ფორმაციული დამოკიდებულება, რაც ძალზე დამახასიათებელი გახლდათ საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. ამგვარი მიდგომა მეტად სწორხაზოვნად გამოიყურება და რევოლუციამდელი საფრანგეთის სოციალურ სტრუქტურაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიქმნის. საკითხი არის გაცილებით უფრო რთული, მრავალნაზნაგოვანი და წინააღმდეგობრივი. ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა მას უწოდოთ „ძველი რეჟიმი“, როგორც ეს გააკეთა გამოჩენილმა ფრანგმა ისტორიკოსმა გრაფმა ალექსის დე ტოკვილმა. ეს ტერმინი გაცილებით უფრო მოქნილი, ელასტიური, უნდა ჩანდეს. 4. ნაშრომში, ბუნებრივია, გვხვდება საკითხისადმი კლასობრივი მიდგომა, რაც ძალზე დამახასიათებელი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. ამგვარი დამოკიდებულების კულმინაციად, ჩვენი აზრით, ნაპოლეონის რეჟიმის კონტრრევოლუციურ ტენდენციებზე აპელირება შეიძლება მივიჩნიოთ. აქცენტების ასეთი დასმა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო და საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის ხარკის მოხდად შეიძლება იქნას აღქმული. ბონაპარტიზმის არსისადმი მარქსისტულ-ლენინური, საბჭოთა დამოკიდებულება, რომლისთვისაც დამახასიათებელია საკითხისადმი კლასობრივი მიდგომა, დღეს უკვე ცხადია, მოძველებულია, ყაველი გაუფიდა, ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. პირველ ყოვლისა, ის ორიენტირებული იყო საზოგადოებრივი წესრიგის იდეაზე. ზომიერ სოციალურ რეფორმებზე, რომელიც გამსჭვალულია ლიბერალიზმის სულისკვეთებით, სამხედრო დიდებაზე და ევროპის ხალხების გაერთიანებებზე (4.133). მიუხედავად ნაპოლეონის მმართველობის ერთპიროვნული ხასიათისა, მასში პროგრესული აშკარად ქარბობდა ნეგატიურს, წითელი დომინირებს შავზე. ამიტომ ნაპოლეონის ავტორიტარული რეჟიმი „პროგრესული ცეზარიზმის“ ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ. (4. გვ. 115).

მამ ასე, ბატონმა კოტე ბოჭორიშვილმა დაწერა საინტერესო და სოლიდური გამოკვლევა ნაპოლეონის არმიაზე, რომელიც იმ

პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძინად მიგვაჩნია და მას ამ პრობლემით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი გულგრილად ვერ აუვლის გვერდს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მის სერიოზულ გამოკვლევას კარგად ემჩნევა იმ დროის კვალი და ვერ აცდა მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიის გავლენას. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური უნდა იყოს. აი, ასეთია რეალობა, რომლის არც შელამაზება და არც გამუქება მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

უნინარესად, ალბათ, ინტერესსმოკლებული არ უნდა იყოს გამოვარკვიოთ ავტორის დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი. ამას აქვს მნიშვნელობა და საშუალებას მოგცემს შევეცადოთ განვსაზღვროთ მისი ადგილი ქართულ ნაპოლეონიანაში. რომელ ფრთას ბონაპარტისტულს თუ ანტიბონაპარტისტულს შეიძლება მივაკუთვნოთ ის. ეს პრინციპული საკითხია.

ყოველ საუკუნეს განასახიერებენ ადამიანები. განსაკუთრებით გამოჩენილი ადამიანები, ინგლისელი ისტორიკოსის არნოლდ ტოინბის თქმით, ესაა „შემოქმედებითი უმცირესობა“. გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი ჟორჟ ლეფევერი თავის საინტერესო ნიგნში „ნაპოლეონი“ აღნიშნავდა, რომ „ნაპოლეონი იყო საუკუნის ადამიანი“. ისტორიკოს ევგენი ტარლეს აზრით, „ნაპოლეონი იყო მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი რთული პიროვნება“.

არსებობს დიდი ალბათობა, რომ ნაპოლეონისადმი დისერტანტის დამოკიდებულება ასეთი შეიძლება ყოფილიყო. ნაპოლეონისადმი, დისერტანტის, კოტე ბოჭორიშვილის, დამოკიდებულება, ძალიან კარგად თავსდება საბჭოთა ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში და სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მოთხოვნებს. ის ცდილობს თავიდან აიცილოს ნაპოლეონის უსაშველო განდიდება, იდეალიზაცია, რაც წითელ ხაზად გასდევს ფრანგული ისტორიოგრაფიას ადოლფ ტიერიდან დაწყებული, ლუი მადლენით და ანდრე კატსელოთ დამთავრებული. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე მისი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ნაპოლეონის რეჟიმის კონტრრევოლუციურ ტენდენციებზე აქცენტირება, რაც ნიშან-



დობლივი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად, ალბათ მაინც დიდი სიფრთხილეს მოითხოვს და ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას. ძნელია დავეთანხმოთ გერმანულ მარქსისტ ისტორიკოსს აკად. ერნესტ ენგელბერგს თითქოსდა „ნაპოლეონი განასახიერებდეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ანტიდემოკრატიულ ფრთას“. სინამდვილეში საკითხი სულაც არ იდგა ასე მარტივად. დისერტანტისთვის ნაპოლეონი უკვე აღარ იყო „ვეროპელი ჩინგიზ-ხანი“, რაც იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფონზე წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და, ჩვენი აზრით, მისი ბონაპარტისტული განწყობის გამოძახილია. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ კოტე ბოჭორიშვილი ქართული ნაპოლეონიანას ბონაპარტისტული მიმართულების ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად შეიძლება იქნას მოაზრებული. მაგრამ ამას აკეთებს ფრთხილად, შეფარვით, რაც არსებული პოლიტიკური ვითარების გამოძახილია და კონუნქტიურულ ხასიათს უნდა ატარებდეს.

\* \* \*

ახლა კი დროა გადავიდეთ საკითხის არსობრივ განხილვაზე. ამაში, ცხადია, ძალიან დაგვეხმარება ჩვენს მიერ არქივში მოძიებული მასალები, რომელიც პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში. (8)

კოტე ბოჭორიშვილის სოლიდური გამოკვლევების „ნაპოლეონის არმია როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა კონსულობის და იმპერიის დროს (1799-1815)“ მნიშვნელობის შეფასება, ბუნებრივია, პირველებმა ოპონენტებმა სცადეს. ფაქტობრივად, მათ დაუდეს სათავე საკითხის ისტორიოგრაფიას და ამიტომ მათი რეცენზიების გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და კოტე ბოჭორიშვილის წვლილზე აღნიშნული პრობლემის დამუშავების საქმეში სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. ეს საშუალებას მოგვცემს აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო სრულყოფილად, სიღრმისეულად, გავაშუქოთ თუ ოპონენტების რეცენზიებს მარქსისტულ გარესამოსს ჩამოვაშორებთ ხელში შეგრჩება საინტე-

რესო რეცენზია და გამომხაურება კოტე ბოჭორიშვილის გამოკვლევაზე, რომელიც, ჩვენი აზრით, ფასეულია და ქართული ნაპოლეონიანას ალიარებად მიგვაჩნია. აქცენტი, სწორედ, ამ ფასეულზე უნდა გაკეთდეს. ჩვენ შევეცადეთ ამ საკითხისათვის, სწორედ, ამ კუთხით შეგვეხედა. ეს იქნებოდა საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. ამიტომ მარქსისტული სტერეოტიპების და შტამების გამო ამ რეცენზიებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია და კოტე ბოჭორიშვილის საინტერესო გამოკვლევაზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებს.

დავინწყით იმით, რომ კოტე ბოჭორიშვილმა თავისი წვლილი შეიტანა „ნაპოლეონის ლეგენდის“ გაქარწყლების საქმეში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მას ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია. ამ თემაზე მის მსჯელობას პოლემისტურ მუხტს ძენს. როგორც სპეციალისტები აღნიშნავდნენ. მან დამაჯერებლად ცხადყო, რომ ნაპოლეონის არმიის ტრიუმფალურ წარმატებებს განაპირობებდა არამხოლოდ „რევოლუციური ენთუზიაზმი“, რაზეც აპელირებდნენ ნაპოლეონის ურიცხვი აპოლოგეტები, არამედ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მატერიალური ნახალისების ფაქტორს, რომელიც, ფაქტობრივად, ნაპოლეონის თაყვანისმცემელი ისტორიკოსების თვალთახედვის არეალში ნაკლებად ხვდება. კოტე ბოჭორიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ნაპოლეონის არმიამ, ისე როგორც მთელმა ფრანგულმა საზოგადოებამ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე საინტერესო ფერისცვალება, ევოლუცია, განიცადა მარცხნიდან მარჯვნივ. რომლის შედეგადაც ის რევოლუციური არმიიდან გადაიქცა პროფესიულ არმიად.

პროფ. ვლადლენ სოროტკინი ფიქრობს, რომ „მიუხედავად ნაპოლეონის არმიის შესახებ არსებული უამრავი შრომებისა, დისერტანტმა მონახა ამ თემის გაშუქების ორიგინალური გზა. ამ თითქოსდა კარგად შესწავლილი თემის. მან ყურადღება მიაქცია არა ტრადიციულ სამხედრო ასპექტებს, არამედ „ქვედა ფენებს“ — ჯარისკაცებს, კაპრალებს, უმცროს ოფიცრებს, რომლებიც როგორც ნებისმიერ არმიაში ქმნიან მის ძირითად ბირთვს, ხერხემალს“ (8. В. Сироткин-ის რეცენზია, ფ. 1).

პროფ. არჩილ ჩხეიძემ სავსებით სამართლიანად მიაპყრო ყურადღება ორ გარემოებას, რომელსაც ქართული კონტექსტი აქვს და მისი მოსკოველი კოლეგები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. სკეპტიკოსები ამტკიცებენ, რომ ნაპოლეონის შესახებ საქართველოში ახალი არაფერი შეიძლება დაინეროსო. საქართველოში მსოფლიო ისტორიის კვლევა მართლაც მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული და ადვილი საქმე არ გახლავთ, მაგრამ შეუძლებელი როდია. ამ სკეფსისი გასაბათილებლად კოტე ბოჭორიშვილის საკანდიდატო დისერტაცია იკმარებდა. სავსებით ვიზიარებთ დისერტაციის ოფიციალური ოპონენტის, პროფ. არჩილ ჩხეიძის შეხედულებას, რომ „ერთი შეხედვით შეიძლება გაკვირვებული დარჩეკიდე შეიძლება რამე ახალი თქვა ნაპოლეონზე, მის პოლიტიკაზე, ომებზე, კ. ბოჭორიშვილის დისერტაცია, როგორც ჩვენ გვგონია, წარმოადგენს თავისებურ პასუხს ამ კითხვაზე. ახალგაზრდა ისტორიკოსმა დაისახა ძალიან რთული ამოცანა, რომელიც დღემდე არ ყოფილა შესწავლილი როგორც ფრანგულ, ისე საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. მის მიერ განხილული გამოკვლეული საკითხები თავისი ხასიათით შეეხება კონსულობის და იმპერიის საკვანძო მომენტებს“ (8. პროფ. არჩილ ჩხეიძის რეცენზია. ფურცელი 1).

ეს ერთი საკითხი იყო. მეორე საკითხი შეეხება პროფ. გივი კილურაძის წვლილს და მას სულ სხვა რაკურსით წარმოაჩენს, ვიდრე ამას აკეთებდნენ მისი მოსკოველი კოლეგები. საქმე ის გახლავთ, რომ კოტე ბოჭორიშვილის სადისერტაციო ნაშრომი პროფ. გივი კილურაძის სადოქტორო დისერტაციის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება. „საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის დროს 1789-1794 წწ.“ (9.10). მათ შორის გენეტიური კავშირი გამჭვირვალეა. სავსებით ვეთანხმებით პროფ. არჩილ ჩხეიძეს, რომ „გვსურს ასევე აღვნიშნოთ, რომ დისერტაციის თემის შერჩევაში დიდი დახმარება აღმოუჩინა მისმა ხელმძღვანელმა პროფ. გივი კილურაძემ. დასაცავად წარმოდგენილი დისერტაცია გახლავთ თავისებური ლოგიკური დაგვირგვინება, რომელიც დასმულია გ. კილურაძის სადოქტორო დისერტაციაში, რომელიც ეხება საფრანგეთის არმიას რევოლუციის დროს“ (8. ფ. 1). მნიშვნელოვანწილად,

სწორედ, ამით აიხსნება, რომ კ. ბოჭორიშვილის დისერტაციაში ნაპოლეონის არმია განხილულია არა როგორც ვიწრო სამხედრო ორგანიზაცია, როგორც ამას ხაზს უსვამდნენ მისი წინამორბედი ისტორიკოსები, არამედ, როგორც სოციალურ-პოლიტიკური ძალა. ასეთი მიდგომა საკითხის ისტორიოგრაფიაში სიახლე იყო და წინ-გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

პროფ. ეფიმ ჩერნიაკის აზრით, „ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ შექმნილი სამხედრო ორგანიზაცია, ცხადია, ლიტერატურაში განხილულია მრავალგზის, მაგრამ მთავარ მიმართულებას კვლევის როგორც საბჭოთა, ისე ფრანგულ ისტორიოგრაფიაში წარმოადგენს ტრადიციული მოდელი, რომელიც დაკავშირებულია არმიის დაკომპლექტებასთან, ნაპოლეონის სამხედრო ხელოვნებასთან. შევხედოთ ნაპოლეონის არმიას, როგორც ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ფაქტორს — სწორედ ის ასპექტი, რომელიც აირჩია კ. ბოჭორიშვილმა თავისი დისერტაციის თემად — ნიშნავს არსებითად გააფართოვოს ჩვენი წარმოდგენა ბონაპარტიზმის არსზე, მის სოციალურ დასაყრდენზე“ (8. Е. Черняк-ის რეცენზია, ფ. 1).

„კ. ბოჭორიშვილის საკანდიდატო დისერტაცია წარმოადგენს საბჭოთა ისტორიოგრაფიაში პირველ გამოკვლევას ნაპოლეონის არმიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური როლის. ეს არის ფრიად მნიშვნელოვანი თემა, რომელიც დაკავშირებულია ბონაპარტიზმთან და ბურჟუაზიული არმიის ფორმირების კანონზომიერებასთან“ — აღნიშნავს ისტორიკოსი ჯუჩი ტუგან-ბარანოვსკი (8. Туган-барановскис რეცენზია. ფ. 1).

კ. ბოჭორიშვილის გამოკვლევის ყურადღების ცენტრში დგას, არა ნაპოლეონის ტრიუმფალური სამხედრო წარმატებები, როგორც ეს მიღებული იყო, არამედ ნაპოლეონის სამხედრო კანონმდებლობა. ეს, როგორც ოპონენტები აღნიშნავდნენ, სიახლე იყო და ეს საკითხი ამ კუთხით ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში შედარებით ნაკლებად იყო შესწავლილი. ამდენად, ის არაა ორინტირებული „სამხედრო ბონაპარტიზმზე“. როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ამგვარი მიდგომა გენეტიკურ კავშირშია „ადმი-

ნისტრაციულ ბონაპარტიზმთან“, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ნაპოლეონის ტრიუმფალური სამხედრო წარმატებების ჩრდილში იყო მოქცეული და გაცილებით უფრო ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. ნაპოლეონის სამხედრო კანონმდებლობის ამ კონტექსტში განხილვა საინტერესოა და კ. ბოჭორიშვილის გამოკვლევის კიდევე ერთ ღირსებად გვევლინება. ჩვენი აზრით, კოტე ბოჭორიშვილის სერიოზული გამოკვლევა ქართულ ისტორიოგრაფიაში „ადმინისტრაციულ ბონაპარტიზმზე“ ორიენტირების ერთ-ერთ პირველ მცდელობად შეიძლება იქნას მოაზრებული. მისი ყურადღების ცენტრში მოექცა ნაპოლეონის სამხედრო კანონმდებლობა, რომელიც გენეტიკურ კავშირშია „ადმინისტრაციულ ბონაპარტიზმთან“. ეს კი, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს. „XVIII-XIX საუკუნის მიჯნაზე საფრანგეთში შეიქმნა კლასიკური სამხედრო კანონმდებლობა, რომლის საფუძველზე ხორციელდებოდა ბურჟუაზიული ტიპის არმიების კანონმდებლობის ფორმირება. ფრანგული სამხედრო სისტემა გახდა კლასიკური ნიმუში, შეიარაღებული ევროპის სხვა სახელმწიფოებისათვის ახალ და უახლეს დროში“. (1. 10).

\* \* \*

კოტე ბოჭორიშვილის გამოკვლევის შესავალში ცენტრალური ადგილი უჭირავს საკითხის წყაროთმცოდნეობას და ისტორიოგრაფიას, რაც უწინარესად ამ საკითხების მეცნიერული წონადობითაა განპირობებული. ის დიდ ყურადღებას და ადგილს უთმობს ამ თემის გაშუქებას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ეს მონაკვეთი სადისერტაციო ნაშრომში ერთ-ერთი საინტერესოა. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით პროფ. ეფიმ ჩერნიაკი: „ჩვენი აზრით, ისტორიოგრაფიული მიმოხილვა სრულ წარმოდგენას გვიქმნის იმ დამსახურებაზე, რომელიც შეიტანეს აღნიშნული საკითხის დამუშავების საქმეში დისერტანტის წინამორბედმა ისტორიკოსებმა. ზუსტი შეფასებები, რომელსაც აძლევს ავტორი თავის წინამორბედ ისტორიკოსებს. ყველაფერი ეს მოწმობს მის ჩახედულებას უახლოეს საბჭოთა და საზღვარგარეთულ ისტორიოგრაფიაში, სადაც ჰპოვა

ასახვა შესწავლილი პრობლემის ამა თუ იმ ასპექტმა“ (8. გვ. 2). ამგვარი მაღალი შეფასება, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამ დადებით შეფასებას, თუმცა, ჩვენი აზრით, შეიძლება ის ცოტა გადაჭარბებული იყოს. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით პროფ. ეფიმ ჩერნიაკს, რომ დისერტაციის ავტორი საკმაოდ ჩახედულებას ამჟღავნებს საკითხის ისტორიოგრაფიაში, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსია. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი საკითხის შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, გამორიცხულად სულაც არ მიგვაჩნია. ყურადღებას მივაპყრობთ რამდენიმე გარემოებას, რომელიც თვალში მოგვხვდა:

1. პირველ ყოვლისა, ასეთად მიგვაჩნია დისერტანტის დამოკიდებულება გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის, ნაპოლეონის ეპოქის კომპეტენტური მკვლევარის, აკად. ლუი მადლენისადმი. სავსებით ვიზიარებთ პროფ. არჩილ ჩხეიძის მოსაზრებას, რომ „ასეთი კატეგორიული ტონი აკად. ლუი მადლენის მიმართ სრულიად ზედმეტია“ (8. გვ. 6). ის სახელმძღვანელო ფრანგი ისტორიკოსის, აკად. ლუი მადლენის მიმართ მეტისმეტად მკაცრია. აკად. ლუი მადლენისადმი დამოკიდებულება ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო და გაბატონებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გამოძახილია. ლ. მადლენისათვის ისეთი იარაღების მინებება, როგორც გახლავთ „იმპერიალისტური წრეების მსახური“, სრულიად ზედმეტია. ამ შემთხვევაში აკადემიური ტონი დარღვეულია. ეს კი მიუღებლად მიგვაჩნია. აკად. ლუი მადლენის წვლილისადმი დამოკიდებულება კოტე ბოჭორიშვილის საინტერესო ისტორიოგრაფიული მიმოხილვის აქილევსის ქუსლად გვევლინება.

2. ფრანგი მარქსისტი ისტორიკოსების, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ალბერ სობულის და ემილ ტერსანის წვლილის დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და ამ თემაზე მისი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება. აქ, ბუნებრივია, წამოიჭრება ერთი საკითხი. ხომ არ აჭარბებდა ის ნაპოლეონის მოღვაწეობის შესწავლის საქმეში ფრანგი მარქსისტი ისტორიკოსების დამსახურებას? „ჭეშმარიტად მეცნიერულად ამ საკითხის გამოკვლევას საფრანგეთში მიუდგნენ მხოლოდ მარქსისტი ისტო-

რიკოსები ა. სობული და ე. ტერსანი. მათ შრომებში ნაპოლეონის არმია გამოყვანილია საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების შემსრულებლის როლში და ხაზგასმულია ბონაპარტისტული რეჟიმის რეაქციული ხასიათი“. (1, გვ. 3). ნაპოლეონის ეპოქის შესწავლის საქმეში მათ წვლილს, ცხადია, არავინ უარყოფს, მაგრამ ეს შრომები არ წარმოადგენს უკანასკნელ ჭეშმარიტებას. ამგვარი შეფასება აპოლოგეტურად მიგვაჩნია და ამ სფეროში მათ წვლილს შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოაჩენს. ნაპოლეონის რეჟიმის რეაქციულ ხასიათზე აპელირება, ცხადია, გადაჭარბებული უნდა იყოს და საქმის რეალურ ვითარებას გამუქებულად წარმოაჩენს, რაზეც პატივცემული დისერტანტი, როგორც ჩანს, თვალს ხუჭავს. ეს კი გამართლებული არ უნდა იყოს. ფრანგული მარქსისტული ისტორიოგრაფიისადმი პიეტეტის გრძნობა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა, და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატის გამოძახილია. რამდენად გულწრფელი იყო ის ამ შემთხვევაში ძალზე ძნელი სათქმელია. ის იძულებულია ანგარიში გაუწიოს გაბატონებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. დღევანდელი გადასასვლელიდან გვეჩვენება, რომ ის ამ მოსაზრებებში გარკვეულ კორექტივებს შეიტანდა.

3. სავსებით ვეთანხმებით პროფ. ვლადლენ სიროტკინს, რომ ნაშრომში სუსტად, მკრთალადაა, გაშუქებული 20-იანი წლების საბჭოთა ისტორიოგრაფია. ამგვარი დამოკიდებულების კულმინაციად ამ სფეროში აკად. ნ. ლუკინის წვლილისადმი გულგრილი დამოკიდებულება გვევლინება. სასურველი იყო გამოყენებული ყოფილიყო ისტორიკოს ლუკინის წიგნი „რევოლუციური არმიის ისტორიიდან“. (8. 3.) საქმე ის გახლავთ, რომ ამ საკითხში მის ერთ-ერთ წინამორბედად, სწორედ, აკად. ნ. ლუკინი გვევლინება. ამიტომ მისი წვლილისადმი გვერდის ავლა გამართლებული არ უნდა ჩანდეს ნათქვამს ჩვენი მხრიდან დავამატებდით: ა. სასურველი იქნებოდა მითითებული ყოფილიყო რუსი ისტორიკოსის ალექსანდრე ჯიველეგოვის წიგნი „საფრანგეთის დიდი რევოლუციის არმია და მისი ბელადები“, რომელიც 1923 წელსაა გამოსული. ბ. ცოტა მოგვიანებით 1952 წელს გამოვიდა ისტორიკოს ევგენი პროკოფიევის წიგნი

„სამხედრო ხელოვნება საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს 1789-1794“. გ. გამოყენებულ ლიტერატურაში აგრეთვე არ ჩანს გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის ალბერ მათიეზის საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნარკვევი „როგორ იმარჯვებდა საფრანგეთის დიდი რევოლუცია“, რომელიც რუსულ ენაზე გამოვიდა 1928 წელს. ეს გვერდითი საკითხებია და, ეტყობა, ავტორს წვრილმანად მიაჩნევია და სათანადო ყურადღება არ მიუქცევია. გამორჩენია.

4. გარკვეული უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა დისერტანტის გულგრილმა დამოკიდებულებამ ნაპოლეონზე გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის ჟორჟ ლეფევრის წიგნისადმი (11). ის თავის საინტერესო ისტორიოგრაფიულ მიმოხილვაში ჟორჟ ლეფევრის წიგნს არც ახსენებს, რაც, ნებისთ თუ უნებლიეთ, კომპეტენტური ოპონენტების თვალსაწიერის მიღმა დარჩა. ამის გათვალისწინება მისი ნაშრომის ისტორიოგრაფიულ ნაწილს ნაადგებოდა და შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა.

5. ამ საკითხის შესწავლის საქმეში ქართული ისტორიოგრაფიის მიერ შეტანილი წვლილზე აპელირება, ჩვენი აზრით, გადაჭარბებული შეიძლება იყოს და აღნიშნულის საკითხის ადეკვატურ სურათს როდი გვიხატავს. საქმე ის გახლავთ, რომ კონკრეტულად ამ საკითხზე არც პროფ. გივი კილურაძეს და არც პროფ. ვარლამ დონაძეს არაფერი არ აქვს დაწერილი. ამიტომ საკითხის ისტორიოგრაფიაში მათი ჩართვა მიგვაჩნია, რომ ზედმეტია. აქ ის აქცენტს გვერდით მოვლენებზე აკეთებს, რაც, ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს. ნებისთ თუ უნებლიეთ დისერტანტი წინააღმდეგობაში ექცევა. თუ ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილი იყო. მაშინ მან რა გააკეთა? (1)

კოტე ბოჭორიშვილის საკანდიდატო დისერტაციაში ყურადღებას იპყრობს საკითხის წყაროთმცოდნეობის დეტალური განხილვა. ეს მონაკვეთი ნაშრომში ერთ-ერთი საინტერესოა. ნაშრომში მოხმობილია მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი წყაროები. მათი ერთი დიდი ნაწილი ავტორის მიერაა გამოვლენილი და პირველად შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში. ეს, ცხადია, მისი დამსახურებაა, სიახლეს წარმოადგენს. ამ მდიდარმა წყაროთმცოდნეობითმა



ბაზამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი ნაშრომის წარმატება. მოუსმინოთ ამ ეპოქის კომპეტენტურ რუს მკვლევარს დოც. ჯუჩი ტუგან-ბარანოვსკის. მისი დადებითი შეფასება საყურადღებოა. „ავტორს მოყავს მდიდარი ფაქტობრივი მასალა. მათ შორის ისეთი იშვიათი გამოცემები, რომელიც წარმოადგენს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას. მათ შორისაა ა. ოლარის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების კოლექცია „პარიზი კონსულობის პერიოდში“. როიალისტი აგენტების ცნობები, მოთავსებული კრებულში „ნაპოლეონი და ბურბონები“, პოლიციის მასალები, ნაპოლეონის სამხედრო კანონმდებლობა და სხვა გამოცემები. თავის კვლევის პროცესში კ. ბოჭორიშვილმა შეძლო მოეძიებინა ჩვენი ქვეყნის ბიბლიოთეკებში ისეთი პუბლიკაციებიც კი, რომელიც თვით სპეციალისტებისათვისაც არ იყო ცნობილი. ასე, მაგალითად, განყოფილება „რუსეთში“ სანკტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკაში მან მოიძია ოცდამეოთხე ტომი ფრანგული კრებულისა „ბროშურები ნაპოლეონზე“, რომელიც შეეხება რესტავრაციის ეპოქას“ (8. ფ. 2-3).

ნაშრომში გამოყენებული უხვი საარქივო მასალა, მისი სოლიდური გამოკვლევის კიდევ ერთი ღირსებაა. მან იმუშავა: რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში (АВПР), სახელმწიფო ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში (ЦГВИА), ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ЦГАДА). მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. მრავალი საინტერესო დოკუმენტი ამ არქივებიდან მან პირველად შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში. „კონკრეტულად ეს სიახლეებია: „ЦГАДА“-ში მან მოიძია მასალები ჩინის მინიჭებისა და არმიაში დანიშნულების შესახებ. „АВПР“-ში დოკუმენტები იმ ცვლილებებზე, რომელიც ხდებოდა საფრანგეთის სამხედრო სისტემაში. ЦГВИА-ში ნაპოლეონის არმიის მდგომარეობისა და რაოდენობის შესახებ“ დასძენს ჯუჩი ტუგან-ბარანოვსკი. (8. 3).

რა თქმა უნდა, ეს არ იყო ცოტა, მაგრამ იგი არ დასჯერდა ამას და შეეცადა გაეფართოვებინა გამოყენებული წყაროების წრე. ჩართო ამაში პრესა, მემუარები. „ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ავტორს როდესაც აქცენტს აკეთებს ჯარისკაცებისა და ოფიცრების მოგონებებზე, რათა მიიღოს უფრო ობიექტური ინფორმაცია, ვინაიდან მარშლები მოვლენებს წარმოაჩენდნენ „ნაპოლეონის

გენდის“ ჟრილში“ (8. 3).

სადისერტაციო ნაშრომის კიდევ ერთ სიახლეს სავესებით სამართლიანად მიაპყრო ყურადღება პროფ. ვლადლენ სიროტკინმა. მისი აზრით, „დისერტანმა სკრუპულოზურად შეისწავლა 1789-1816წლებში გამოქვეყნებული საფრანგეთის სამხედრო კანონმდებლობის ექვსტომეული, რომლის კვალსაც მიაგნო ვ. ი. ლენინის საჯარო ბიბლიოთეკაში და რომელიც მანამდე საბჭოთა ისტორიკოსებიდან არავის არ გამოუყენებია“. (8. 3).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დისერტაციის ამ მხარეზე ყურადღებას ამახვილებდნენ და დადებით შეფასებას აძლევდნენ სხვა სპეციალისტები: პროფ. არჩილ ჩხეიძე, პროფ. ვლადლენ სიროტკინი, პროფ. ეფიმ ჩერნიაკი, მაგრამ მათი მოსაზრებების განხილვისაგან თავი შევიკავეთ, ვინაიდან მოტანილი მასალა, ვფიქრობთ, საკმარისია (8. ა. ჩხეიძის, ვ. სიროტკინის და ე. ჩერნიაკის რეცენზიები). მხოლოდ ერთ ამონარიდს მოვიყვანთ პროფ. არჩილ ჩხეიძის რეცენზიიდან. „ჩვენი აზრით, დისერტანტის ნაშრომის განსაკუთრებულ ღირსებად, გვევლინება დოკუმენტური და ლიტერატურული წყაროების ფართო წრე, პირველ რიგში კი საარქივო მასალის, რომელიც მკვლევარების მიერ აქამდე გამოყენებული არ ყოფილა. ასე მაგალითად, დისერტაციაში წამოყენებული ძირითადი თეზისების დამტკიცების მიზნით, ავტორს მოხმობილი აქვს არა მარტო ნაპოლეონის კორესპოდენციები, არამედ საარქივო მასალები საბჭოთა კავშირის არქივებიდან: АВПР, ЦГАДА, ЦГВИА, ЦГИА СССР. ლენინგრადში და აგრეთვე ხელნაწერთა ფონდი მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკიდან. აღსანიშნავია, რომ დისერტანტი მხედველობიდან არ ტოვებს თანამედროვე ფრანგული და საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევებს, კერძოდ კი XX საუკუნის 70-იან წლებში გამოცემულ შრომებს“. (8. 2).

ლიტერატურულ წყაროებზე აპელირება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და, ჩვენი აზრით, გადაჭარბებული შეიძლება იყოს. საქმე ის გახლავთ, რომ ლიტერატურულ წყაროს სულ სხვა დატვირთვა გააჩნია და ამ კონტექსტში ის დისერტანტის მიერ როგორც ჩვენ გვგონია გამოყენებული არ ყოფილა. მთავარია რა შინაარს ჩავდებთ ლიტერატურულ წყაროში. რას გულისხმობდა პა-

ტივცემული ოპონენტი ლიტერატურულ წყაროში ამ კონტექსტიდან ძალიან ძნელი სათქმელია. დისერტანტის, უდავო, დამსახურების გაზვიადების აუცილებლობას ვერ ვხედავთ. აი ასე გვესახება ჩვენ ეს საკითხი.

ავტორმა სცადა ამ მასალის კლასიფიკაცია და ის ხუთ კატეგორიად დაყო: 1. საარქივო მასალა, რომელიც ავტორმა მოიძია საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში, სამხედრო-ისტორიულ არქივში, ძველი აქტების სახელმწიფო არქივში. 2. წყაროების მეორე ჯგუფს შეადგენს მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილება და ეს მასალები, ფაქტობრივად, პირველმა შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში, რის თაობაზეც სავსებით სამართლიანად მიუთითეს პატივცემულმა ოპონენტებმა. 3. ეს არის ბროშურებისა და პამფლეტების იშვიათი გამოცემა, რომელიც ინახებოდა სანკტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის და მოსკოვის წიგნთსაცავების განყოფილებებში. 4. ეს არის გამოქვეყნებული დოკუმენტების კრებულები. 5. ეს გახლავთ მდიდარი მემუარული ლიტერატურა (1. გვ. 11-16).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოტე ბოჭორიშვილის სადისერტაციო ნაშომის პირველი თავი შეეხება სერიოზულ მეცნიერულ პრობლემას „ნაპოლეონის სამხედრო კანონმდებლობის სოციალური ასპექტები და მისი გამოყენების პრაქტიკა“.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ნაპოლეონის სახელთან ასოცირდება გრანდიოზული მნიშვნელობის თვისებრივი სიახლე საფრანგეთში პროფესიული არმიის ფორმირება. ეს იმ პერიოდის ევროპის ისტორიაში უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი იყო. კოტე ბოჭორიშვილმა დამაჯერებლად ცხადყო, რომ დღეს არსებული „საკონტრაქტო სისტემა“, რომელიც არსებობს აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის არმიებში, სათავეს იღებს ნაპოლეონის არმიიდან. სწორედ ნაპოლეონმა აქცია თავისი ჯარისკაცობი მალალი ანაზღაურებად პროფესიონალებად“ (12, გვ. 306). ეს იყო ამ დარგის ხვალისდელი დღე. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხს პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილი თავის საინტერესო წიგნში ნაპოლეონზე დუმილით უვლის გვერდს. (13. 119-160).

დისერტანტს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ნაპოლეონის

მიერ პროფესიული არმიის ჩამოყალიბების საქმეში დიდი როლი შეასრულა მატერიალური ნახალისების ფაქტორმა, რომელსაც ნაპოლეონი ფართოდ ნერგავდა არმიაში. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი ღირსებაა. „დისერტაციის პირველ თავში პირველადაა მოცემული ჯარისკაცების და ოფიცრების მატერიალური (ფულადი) ნახალისების სისტემის სრული სურათი. რიგი წინსვლის ჯარისკაციდან ოფიცრობისაკენ, სოციალური უზრუნველყოფა (ერთჯერადი დაჯილდოვება, პენსიები და სხვა.) სამხედრო მოსამსახურების და მათი ოჯახების (ქვრივები, ბავშვები)“ — დასძენს პროფ. ვლადლენ სიროტკინი (8. 3). ეს გახლავთ მედლის ერთი მხარე, რომელიც დისერტანტს, ვფიქრობთ, ძალიან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული. მედალს გააჩნია მეორე მხარე, რომელიც, უნდა ითქვას, რომ მას მხედველობიდან არ გამოუპარვია. როგორც დოც. ჯუჩი ტუგან-ბარანოვსკი აღნიშნავს „ძალზე დამაჯერებელია დისერტანტის ერთ-ერთი მთავარი დასკვნა, რომ იმპერიის დაცემის გლობალურ მიზეზებთან ერთად (რეჟიმის კრიზისი, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა და სხვა) განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე არმიის შინაგან ტრანსფორმაციას — მატერიალური ნახალისების სისტემის მოშლას, რომელიც მასში (ე. ი. არმიაში — მ. კ.) ავითარებდა „ცუდ რაციონალიზმს“, რომელსაც არ ჰქონდა ადგილი რევოლუციური ომების ეპოქაში“ (8. ფ. 4).

სავსებით ვეთანხმებით პროფ. ვლადლენ სიროტკინს, რომ „სადისერტაციო ნაშრომის ღირსებად გვევლინება ის, რომ ნაპოლეონის სამხედრო კანონმდებლობას განიხილავს არა მხოლოდ „ზემოდან“ (ნაპოლეონის დეკრეტები და ბრძანებები), არამედ „ქვემოდან“. დისერტანტმა პირველად მოიძია მ. სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკაში გვარდიის შენაერთების ყურნალი 1811-1812 წლებში, სადაც სკურპულოზურად იყო დაფიქსირებული იმპერატორის განკარგულებები. ჯარისკაცების და ოფიცრების დანინაურება და გადახდილი თანხის რაოდენობა“. (8. ფ. 3)

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ამ მონაკვეთს დადებით მომენტებთან ერთად, ბუნებრივია, გააჩნია თავისი სუსტი მხარეები, რომელიც გვერდის ავლა სწორი არ იქნება და მის მნიშვნელობაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. შეიძლება

დავეთანხმით ჯუჭი ტუგან-ბარანოვსკის, რომ „უპირველეს ყოვლისა, ავტორი ზედმეტად კრიტიკულად აფასებს ნაპოლეონის არმიას და აჭარბებს მისი დეგრადაციის, კონსერვატიული ტენდენციების განვითარების საქმეში, მატერიალური ნახალისების მნიშვნელობას“ (8. ფ. 5). ამის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი. „თავს ნებას მივცემთ ეჭვი გამოვთქვათ, რომ 1798 წელს, „სტიმულს“ წარმოადგენდა მხოლოდ მატერიალური ნახალისება. იმ პერიოდში იწყებოდა ომი მეორე კოალიციის წინააღმდეგ და ამ ომმა ქვეყანაში გამოიწვია დიდი პატრიოტული ენთუზიაზმი და ამ პატრიოტულ ტალღაზე „იაკობინიზმის“ აღორძინება“ (8. გვ. 5). მატერიალური ფაქტორი ყოველთვის არ იყო მთავარი. დისერტანტს მოჰყავს ერთი ასეთი საინტერესო ფაქტი. „მეორე იტალიური კამპანიის დროს 1800 წელს ბონაპარტმა განაცხადა, რომ ერთ ზარბაზანზე, რომელსაც ჯარისკაცები ალპებზე დაუზიანებლად გადაიტანდნენ, მიიღებდნენ 500 ფრანკს, მაგრამ ჯარისკაცებმა თვითონ განაცხადეს უარი ასეთ ჯილდოზე და თავისი სამსახური პროფესიულად შეასრულეს“. აქ ის საკუთარ თავს ეწინააღმდეგება. ნაპოლეონის არმიის კონსერვატიზმზე აქცენტები გადაჭარბებული უნდა იყოს, ნებისთ თუ უნებლიეთ, ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას და ამ თემაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის.

ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს პროფ. არჩილ ჩხეიძე. „ჩვენი აზრით, ავტორი ძალიან გაიტაცა ნაპოლეონის მატერიალური ნახალისების გვერდითი მოვლენების კრიტიკამ და ყურადღებას ამახვილებს დეგრადაციაზე და იმპერიის წლებში საფრანგეთის არმიის რეაქციულ ბუნებაზე. ... ცნობილია, რომ საფრანგეთის არმიის ბევრმა სამხედრო მოსამსახურემ იმპერიის დაცემამდე შეინარჩუნა რესპუბლიკური სულისკვეთება. უნდა აღინიშნოს, რომ თვით ავტორსაც კარგად აქვს გაცნობიერებული ნაპოლეონის არმიის ორმაგი მისია და არ ავიწყდება აღნიშნოს მისი მაღალი საბრძოლო თვისებები და რევოლუციური როლი გერმანიაში. ნაპოლეონის ომების პროგრესული ხასიათი“ (8, გვ. 6). გერმანელი ისტორიკოსის გეორგ გერვინიუსი ხაზს უსვამდა ნაპოლეონის როლს გერმანიაში ფეოდალური ბარიერების მოსპობის საქმეში. (14) აქ, ჩვენი აზრით,

კარგი იქნებოდა ავტორს, თავისი შეხედულებების გამტკიცების მიზნით, მოეხმო მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზრის თვალსაჩინო წარმომადგენლების, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ნიკო ნიკოლაძის შეხედულებები, რომელსაც ძალიან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ნაპოლეონის ომების ისტორიული მნიშვნელობა. აი, რას წერდა ნიკო ნიკოლაძე თავის ერთ-ერთ სტატიაში: „მას შემდეგ, რაც ნაპოლეონმა მთელი გერმანია გაანადგურა (1806-1807) მან აქ, ამასთან ერთად ძველი უწესობისა და უსამართლობის ნაცვლად, საფრანგეთში ახალი კანონები შემოიტანა და გერმანელი ხალხი ადამიანურ ცხოვრებას შეაჩვია“. (15. 113-114, 16.50). ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა ამ ისედაც საინტერესო ნაშრომს და მას მხოლოდ მომგებიან ქულებს შეძენდა. ქართული კონტექსტი მართლაც ინტერესმოკლებული არ გახლავთ, მაგრამ მას დისერტანტიც და პატივცემული ოპონენტიც, დუმილით უვლიან გვერდს, რაც, როგორც ჩვენ გვგონია, მართებული არ უნდა იყოს.

კოტე ბოჭორიშვილის სადისერტაციო ნაშომის მეორე თავი, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ერთ-ერთი ურთულესია და შეეხება მეტად საინტერესო და აქტუალურ საკითხს „ნაპოლეონის არმია — პირველი იმპერიის დროს „ახალი“ არისტოკრატის შევსების მთავარი წყარო“. მას გენეტიკური კავშირი აქვს პირველ თავთან და მის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით ეს თემა ისტორიოგრაფიაში შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი. დისერტანტმა სცადა შეევსო ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ვაკუუმი და საგანგებო შესწავლის საგნად გადაექცია ეს თემა. მან მრავალფეროვან პირველწყაროებზე, საარქივო მასალაზე და მდიდარ საკვლევ ლიტერატურაზე დაყრდნობით, როგორც რუსულ, ისე ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, შეძლებისდაგვარად შეცადა გადაეჭრა ეს პრობლემა.

ამ მონაკვეთის მეცნიერული მნიშვნელობის შეფასება პირველბმა, ცხადია, ოპონენტებმა სცადეს. ამიტომ, ინტერესმოკლებული არ იქნება ამ თემის განხილვა მათი მოსაზრების გაცნობით

დაგვეწყო.

ცნობილია რუსი ისტორიკოსი, ნაპოლეონის ეპოქის ერთ-ერთი კომპეტენტური მკვლევარი დოც. ჯუჩი ტუგან-ბარანოვსკი ფიქრობს, რომ „ძალიან საინტერესოა საპატიო ლეგიონის ორდენის როლის ანალიზი, რომელიც ნაპოლეონმა დააარსა კონსულოების დროს. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ეს საკითხია არავის დაუსვამს. დისერტანტი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ პრობლემის გააზრებას ართულებს თვით საპატიო ლეგიონის ორდენის ორმაგი ფუნქცია. ეს იყო ჯილდოც და ბონაპარტისტული სამხედრო ორგანიზაციაც. თავისი პირველი მნიშვნელობით ე. ი. როგორც ჯილდო, ორდენი, იგი დღესაც არსებობს, მაგრამ ნაპოლეონის თავდაპირველი ჩანაფიქრი მდგომარეობდა იმაში, რომ ჩამოეყალიბებინა ხელისუფლების მომხრეთა ორგანიზაცია, რომლის ძალისხმევითაც განახორციელებდა ხელისუფლების და საფრანგეთის საზოგადოების კავშირს. პირველ ყოვლისა, საპატიო ლეგიონი ამგვარ როლს თამაშობდა მაშინ (ე. ი. კონსულოების და იმპერიის დროს — მ. კ.). ყველაფერი ეს, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ავტორი, (ე. ი. კ. ბოჭორიშვილი — მ. კ.) „განაპირობებდა საზოგადოებაში პრივილეგირებული ფენის წარმოშობას. ეს პროცესი დასრულდა 1808 წელს“ (8. 5-6). ჯუჩი ტუგან-ბარანოვსკის თქმით: „ავტორის ეს დასკვნა არის ძალიან არსებითი „ახალი“ არისტოკრატის შექმნის პროცესის გააზრებისთვის და მისი რიგების შევსების წყარო“ (8. 5-6).

თავისი დადებითი დამოკიდებულება ამ მონაკვეთისადმი გამოხატა პროფ. ვლადლენ სიროტკინმა. მან აღნიშნა: „დისერტაციის მეორე თავში ავტორმა დასვა პირველი თავიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი საკითხი. ნაპოლეონის არმია — როგორც პირველი იმპერიის „ახალი“ არისტოკრატის შევსების მთავარი წყარო (გვარდია, „ელიტარული ნაწილები“, საპატიო ლეგიონის ორდენის მნიშვნელობა, როგორც მაღალი სოციალური სტატუსის მოპოვების საშუალება და ა. შ.) ამით კ. ბოჭორიშვილმა თავისი წვლილი შეიტანა ნაკლებად შესწავლილი პრობლემების პირველი იმპერიის სოციალური სტრუქტურის და მისი ზედაფენის — „ახალი“ არისტოკრატის, რომელსაც ეყრდნობოდა ნაპოლეონი, შესწავლის სა-

ქმეში“ (8. ფ. 4).

პროფ. ეფიმ ჩერნიაკს განსაკუთრებით მოეწონა სადისერტაციო ნაშრომში საპატიო ლეგიონის ორდენის როლის გაშუქება. აი, რას წერდა იგი. „ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ავტორის ორიგინალური თვალსაზრისი საპატიო ლეგიონის ორდენზე. ის საშუალებას გვაძლევს გავალრმავოთ ჩვენი ცოდნა ნაპოლეონის ეპოქის ამ ატრიბუტიკაზე. ავტორი არ უარყოფს მოსაზრებას საპატიო ლეგიონის ორდენის წმინდა დაჯილდოების ფუნქციაზე. დისერტანტი მასში ხედავს ბონაპარტისტული სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზების ნიშნებს, რომლის ჩარჩოებში მიმდინარეობდა ახალი არისტოკრატის დაკომპლექტება. დისერტანტის ეს მოსაზრება დამაჯერებლად არაგუმენტირებული“ (8. ფ. 4).

აღნიშნული პრობლემის შესწავლის საქმეში კოტე ბოჭორიშვილის წვლილს, რა თქმა უნდა, არავინ არ უარყოფს. ის სავსებით იმსახურებს იმ მაღალ შეფასებას, რომელიც მის ნაშრომს მისცეს ოპონენტებმა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ, ვფიქრობთ, შექებაშიც გვმართებს ზომიერების დაცვა. მეტისმეტი არ უნდა მოგვივიდეს. ძალიან ზეანეული ტონი, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყოს. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ, იმას, რომ დისერტანტის ორიგინალური წვლილის ხაზგასმა ძალიან ხმამაღალი ნათქვამი ხომ არ იქნებოდა? ეს მართო პროფ. ე. ჩერნიაკს როდი შეეხება. ის სხვა ოპონენტებზეც ვრცელდება. ალბათ, უფრო უმჯობესია იქნებოდა ნეიტრალური შეფასებები. სიახლეა. საინტერესოა.

აღნიშნული საკითხის შესახებ ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს პროფ. არჩილ ჩხეიძე. მას მოსწონს დისერტანტის მიერ საპატიო ლეგიონის ორდენის რაობაზე მსჯელობა. „ახალი“ არისტოკრატის ფორმირების სამხედრო არხების მოძიება. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამ დადებით შეფასებას, რომელსაც ის აძლევს კოტე ბოჭორიშვილის გამოკვლევის ამ მონაკვეთს (8. ფ. 5).

ვფიქრობთ, საინტერესოა დისერტაციის ამ მონაკვეთის ირგვლივ გამართული მეცნიერული პაექრობა. ჩვენს ხელთ არსებული მდიდარი მასალა საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ამ საკითხს. ეს იყო სწორი მეცნიერული მიდგომა. მოვუსმინოთ დოც. ჯუჯი



ტუგან-ბარანოვსკის. აი, რას ფიქრობს ის. „ჩვენი აზრით, ასევე შესაძლებელი იყო ოდნავ გაძლიერებულიყო მონაკვეთი, რომელიც შეეხება საპატიო ლეგიონის ორდენს. ავტორი საუბრობს ამ ღონისძიებისადმი წინააღმდეგობაზე მარცხნიდან — რესპუბლიკური და დემოკრატიული წრეების მხრიდან, მაგრამ ამას აკეთებს გაკვრით „სასხვათაშორისოდ“. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ავტორის ძირითადი იდეა კიდევ უფრო მეტ სიცხადეს შეიძენდა, თუ ამ კუთხით საკითხის გაშუქების დროს, თუნდაც გამოქვეყნებული დოკუმენტების გამოყენებით, მკაფიოდ იქნებოდა აღნიშნული რომ საპატიო ლეგიონის ორდენი ნაპოლეონის მიერ ჩაფიქრებული იქნა, პირველ ყოვლისა, როგორც ბონაპარტისტების სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია“. (8. ფ. 5-6). როგორც ჯ. ტუგან-ბარანოვსკი ფიქრობს აქ სასურველი იყო უფრო მეტი არგუმენტაცია.

ჩვენ საესებით ვიზიარებთ კომპეტენტური სპეციალისტის თვალსაზრისს და ჩვენის მხრიდან მოწინებით დავამატებდით და კიდევ უფრო გავავრცობდით მას. ვფიქრობთ საინტერესო იყო ნაპოლეონის ამ ღონისძიებისადმი მემარჯვენე წრეების, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, როიალისტების დამოკიდებულება. ბუნებრივია, რომ საპატიო ლეგიონის ორდენის დაარსებას ისინი აღტაცებაში არ მიუყვანია, რაც ნაპოლეონის რეჟიმისადმი მათი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულების ორგანულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ამ კუთხით საკითხის გაშუქება, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა. ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამძიდრებდა ამ ისედაც სოლიდურ ნაშრომს და მას მხოლოდ მომგებიან ქულებს შესძენდა. ამ საკითხის გვერდის ავლა, ჩვენი აზრით, ამ თემაზე მისი მსჯელობის სუსტს მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ. ხომ არ აღმოჩნდა ეს საკითხი დისერტანტის და პატივცემული ოპონენტის თვალსაწერს მიღმა?

ვფიქრობთ, ყურადღებას იპყრობს დოც. ჯუჩი ტუგან-ბარანოვსკის კიდევ ერთი საინტერესო მოსაზრება. „ძნელია დავეთანხმოთ ავტორს (ე. ი. კ. ბოჭორიშვილს — მ. კ.) თითქოს პირველი რესტავრაციის დროს ბურბონებისადმი ჯარისკაცებისა და ოფიცრების უკმაყოფილების მთავარი მოტივი იყო მატერიალური უზრუნველყოფის საკითხის განსხვავებულად დასმა. სწორედ ამან

განაპირობა „არწივის აფრენა“, ნაპოლეონის დაბრუნება ხელისუფლებაში „100 დღე“. ამ შემთხვევაშიც ავტორი აჭარბებს მატერიალური ნახალისების ფაქტორის მნიშვნელობას. ჩვენი აზრით, ბურბონების მმართველობით არმიის უკმაყოფილების მიზეზი დაკავშირებულია მოვლენათა მთელს კომპლექსთან, რომელიც გამოხატავდა ბურბონების პოლიტიკას. ტყუილად როდი თქვა ტალეირანმა „ბურბონებმა ვერც ვერაფერი გაიგეს და ვერც ვერაფერი ისწავლეს“. (8. 4).

საინტერესოა პროფ. ეფიმ ჩერნიაკის მოსაზრება. მას მიაჩნია, რომ „ნაპოლეონის არმიის როგორც „ახალი“ არსიტოკრატიის მთავარი წყაროს ანალიზის დროს, სასურველი იქნებოდა ორიოდ სიტყვა თქმულიყო „ახალი“ არსიტოკრატიის ფორმირების სხვა გზებზეც. ფაბრიკანტები, მსხვილი მიწის მესაკუთრები, პირველი იმპერიის უმაღლესი ჩინები. ეს იმასთან დაკავშირებით, რომ „ახალი“ არსიტოკრატიის პრობლემა საფრანგეთში ფრანგი ისტორიკოსების ყურადღების ცენტრში დგას (ა. სობული, ჟ. გოდშო, ჟ. ტიულარი)“ (8. ფ. 4).

ჩვენი აზრით, ურიგო არ იქნებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო კონკრეტული საკითხების ისტორიოგრაფია. ამ კუთხით საკითხის მიმოხილვა კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნიდა იმ წვლილზე, რომელიც შეიტანა დისერტანტმა, როგორც მთლიანად ამ პრობლემის, ისე ცალკეული კონკრეტული თემების დამუშავების საქმეში. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური იქნებოდა. ამის გაკეთება მას სავსებით ხელეწიფებოდა.

სავსებით ვიზიარებთ პროფ. ვლადლენ სიროტკინის მოსაზრებას, რომ დისერტანტი არ ახდენს „შედარებით ანალიზს ბურჟუაზიული კანონმდებლობის და პრაქტიკის, ნაპოლეონის არმიაში მისი გამოყენების და საფრანგეთის მონინალმდებლების — ფეოდალურ-აბსოლუტისტური სახელმწიფოების — ავსტრიაში, პრუსიაში რუსეთში“ (8. 3-4). თუ ამ მსჯელობას ჩამოვაშორებთ საკითხისადმი კლასობრივ მიდგომას, რომელიც პრიორიტეტული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისთვის, ასეთად მიგვაჩნია აპელირება „ბურჟუაზიულ კანონმდებლობაზე“ და „ფეოდალურ-აბსოლუტისტურ რეჟიმზე“,

ხელში, ჩვენი აზრით, საკმაოდ სერიოზული მოსაზრება შეგვრჩება, რომლის გათვალისწინება მიზანშეწონილი იქნებოდა და შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა ამ საინტერესო გამოკვლევას.

პროფ. ევიმ ჩერნიაკის აზრით, დისერტაციაში კარგადაა ნაჩვენები ის კავშირი, რომელიც არსებობდა „ნაპოლეონის სოციალურ ასპექტებსა და საფრანგეთის კონკრეტულ ისტორიულ რეალობას შორის, რომლის დამახასიათებელი თვისება იყო ნოტაბლების ძალაუფლების განმტკიცება. სასურველი იქნებოდა, რომ ნაშრომის ეს მხარე დისერტაციის ავტორეფერატში მკაფიოდ ყოფილიყო ასახული“. (8. 4).

და ბოლოს, შევეხებით დასკვნას, რომელიც მისი სოლიდური მონოგრაფიის ლოგიკურ დაგვირგვინებად გვევლინება და, სადაც ის, ბუნებრივია, ცდილობს შეაჯამოს ჩატარებული კვლევის შედეგები, რაც მას, ჩვენი აზრით, ძალიან კარგად გამოუვიდა და ამის გვერდის ავლა სწორი არ იქნებოდა. ეტყობა, ოპონენტებს ეს წვრილმანად მიუჩნევიათ და მისთვის სათანადო ყურადღება არ მიუქცევიათ, თუმცა უნდა ითქვას, რომ დისერტანტის მიღებული დასკვნები სავსებით მისაღებად ესახებოდათ, რაც სწორია და სრულიად ვიზიარებთ. მაგრამ, უმთავრესად, ის შეეხება დისერტაციის ძირითად დებულებებს და არა დასკვნას. ეს კი ერთი და იგივე როდია.

უნინარესად უნდა აღინიშნოს, რომ დასკვნა არ ატარებს აღწერით, თხრობით, ხასიათს, რაც მის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. ხშირად ხდება, რომ დასკვნა, სწორედ, აღწერით, თხრობით, ხასიათს ატარებს. ეს სწორი არ უნდა იყოს. მას გააჩნია ძლიერი ანალიტიკური მუხტი. ის მკაფიოდ, პუნქტების მიხედვით აყალიბებს იმ ძირითად დებულებებს, რომელიც აღნიშნული პრობლემის შესწავლის შედეგად მიიღო (1. 23-24).

დისერტაციამ, ცხადია, დიდი ინტერესი გამოიწვია და სავსებით სამართლიანად დაიმსახურა არა მარტო რუსი, არამედ ქართველი ისტორიკოსების დადებითი შეფასება. საინტერესოა პროფ. ილია ტაბაღუას და პროფ. ვარლამ დონაძის მოსაზრებები. ეს არ იყო დისერტაციის ხოტბა-დიდება. ეს ადვილი გზით სიარული იქნებოდა. მათი მსჯელობა დისერტაციის ავკარგიანობაზე ფასეულია და დი-

სერტაციის, უდავო, ღირსებებთან ერთად ყურადღებას ამახვილებს საკამათო საკითხებზე, გამოთქვამენ შენიშვნებს, რომელიც ჩრდილს არ აყენებს სამეცნიერო გამოკვლევის ღირსებას და მის შემდგომ სრულყოფას, დახვეწას, ისახავს მიზნად. მათ ერთ ნაწილს დისერტანტმა პასუხი გასცა, ხოლო მეორე ნაწილს აღნიშნა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდა თავის შემდგომ საქმიანობაში. (8)

სავსებით ვიზიარებთ სპეციალისტების მოსაზრებას, რომ მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევების ათვისების გზაზე გადადგმული პირველი სერიოზული ნაბიჯი წარმატებული აღმოჩნდა. „ხაზი უნდა გაუსვათ შემდეგს კ. გ. ბოჭორიშვილი არა მხოლოდ ფლობს მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევებს, არამედ დისერტაციაში წამოჭრილ საკითხებს ფართოდ უდგება. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს უზარმაზარი საარქივო მასალა.

ამ ნაშრომის სამეცნიერო-პრაქტიკული მნიშვნელობა ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. ეს მასალა შეიძლება გამოყენებული იქნას საფრანგეთის ახალ ისტორიაში ლექციების და სემინარების დროს და ნაპოლეონის ეპოქაზე კურსის ან სპეცკურსის მომზადებისას. დისერტაცია საინტერესოა, არა მხოლოდ საბჭოთა, არამედ ფრანგი ისტორიკოსებისთვისაც და შეიძლება გახდეს სოლიდური მონოგრაფიის საფუძველი“ (8. ფ. 5.) — დასძენს პროფ. არჩილ ჩხეიძე. პროფ. ვ. სიროტკინის თქმით, „ის, უეჭველად, ამჟღავნებს მიდრეკილებას არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისაკენ, არამედ, შეძლო ახალი სიტყვა ეთქვა მეცნიერებაში“ (8. ფ. 3.) ანალოგიური მოსაზრებას გამოთქვამენ სხვა სპეციალისტებიც ჯ. ტუგან-ბარანოვსი და ე. ჩერნიაკი.

სამეცნიერო საბჭომ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ბ-ნ კოტე ბოჭორიშვილისათვის ძიებული ხარისხის მინიჭებას. საბჭოს 16 წევრიდან 16-მა ხმა მისცა მისთვის ძიებული ხარისხის მინიჭებას. (8) ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო და ამის შეუფასებლობა უადგილო იქნებოდა. კოტე ბოჭორიშვილის სოლიდური გამოკვლევა „საფრანგეთის არმია, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა კონსულობის და იმპერიის დროს (1799-1815)“ სავსებით აკმაყოფილებდა საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს, იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის, წარმატე-

ბა იყო და იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის, სახელდობრ ქართული ნაპოლეონიანას მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია.

ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა სადისერტაციო ნაშრომის ცალკე წიგნად გამოცემა. რაც, სხვათა შორის, აღნიშნეს სპეციალისტებმაც. მას ასეთი ჩანაფიქრი გააჩნდა. რატომ არ გააკეთა მან ეს, ძნელი სათქმელია. ხელსაყრელი შანსი ხელიდან იქნა გაშვებული. დღევანდელი გადასახედიდან ისე გვეჩვენება, რომ ეს შეცდომა ხომ არ იყო? ეს ამ საინტერესო გამოკვლევას ხელმისაწვდომს გახდიდა არა მარტო სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვის. ამას აქვს მნიშვნელობა. მიზანშეწონილი იქნებოდა მისი გამოქვეყნება როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. ამის გაკეთება, ალბათ, უმჯობესი იყო 80-იანი წლების მეორე ნახევარში, რომელმაც მისი როგორც მკვლევარი-ისტორიკოსის პასიურობის ნიშნით ჩაიარა, რაც 90-იან წლებში ისტორიული მეცნიერებიდან გაუცხოების უვერტურად გაისმა. დღეს ამის გაკეთება, ცხადია უკვე, დაგვიანებულია.

\* \* \*

ქართულ ისტორიოგრაფიაში კოტე ბოჭორიშვილის წვლილზე კიდევ უფრო სრულყოფილი, ამომწურავი, წარმოდგენა რომ შევიქმნათ, საჭიროა მოკლედ, სულ ორიოდ სიტყვით, გადავავლოთ თვალი მის სხვა შრომებსაც, რომელიც უმთავრესად, ნაპოლეონის ეპოქას ეხება. ის რაოდენობრივად სულაც არ გამოიყურება სოლიდურად, მაგრამ შინაარსობრივად ეს ნამდვილად არ გახლავთ ასე. მთავარი, სწორედ, ეს უნდა იყოს. ამიტომ ამ საკითხისათვის გვერდის ავლა გამართლებული არ იქნებოდა. ეს საკითხი გენეტიკურ კავშირშია მთავარ თემასთან და მის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება. კოტე ბოჭორიშვილმა თავისი წვლილი შეიტანა და, შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაენია ნაპოლეონის ეპოქის შესწავლა, მეცნიერული კვლევა, არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირში. მისი ეს გამოკვლევები ქართული ნაპოლეონიანას მნიშვნელოვანი შენაძენია და მის საკავშირო, დღევანდელი გადასახედიდან კი, საერთაშორისო აღიარებად გვევლინება. მისი

ამ შრომების მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

პირველი ნაშრომი, როგორც სათაურიდანაც კარგად ჩანს, ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს. „კონსულობის და იმპერიის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ფრანგულ ისტორიოგრაფიაში“ ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა გარემოებამ, რომელიც ზედაპირზე ძვეს, მაგრამ საინტერესოა, და საბჭოთა ისტორიოგრაფისათვის უცხო იყო. ძალიან კარგია, რომ აქ სიტყვა ბურჟუაზიული არ ფიგურირებს, რაც მეტად ნიშანდობლივი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფისათვის. ეს იყო საკითხისადმი წმინდა კლასობრივი მიდგომა. ნებისთ თუ უნებლიეთ, ის უარს ამბობს ამ სიტყვაზე, რაც, ცხადია, ძალიან კარგია. მისი შემდეგი ორი ნაშრომი ემპირიის სფეროს მიეკუთვნება. „ნახალისების ფორმები ნაპოლეონის არმიამი“ და „საფრანგეთის გვარდია ნაპოლეონ I-ის დროს“. (17)

განსაკუთრებით ფასეულია ბ-ნ კოტე ბოჭორიშვილის ის შრომები, რომელიც გამოქვეყნდა ავტორიტეტულ ისტორიულ ჟურნალებში: „ვოპროსი ისტორიი“, „ნოვია ი ნოვეიშია ისტორია“, „ფრანცუზსკი ეუგოდნიკში“. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, სწორი არ უნდა იყოს.

დავინწყოთ მისი პირველი ნაშრომით, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ვოპროსი ისტორიაში“ 1981 წლის მეექვსე ნომერში. ფაქტობრივად, ეს გახლავთ მისი საკავშირო დებიუტი, რომელმაც შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი ჩაიარა. ეს არის რეცენზია იტალიელი ისტორიკოსის ა. რაოს ნაშრომზე „იტალიელი ლტოლვილები 1799 წელს“. ეს რეცენზია ისტორიოგრაფიის სფეროს უნდა მივაკუთვნოთ. ის არჩევს იტალიელი ისტორიკოსის ნაშრომს და ხაზს უსვამს მის ძლიერ და სუსტ მხარეებს. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რაც მისი რეცენზიის მთავარი პლუსია. (18)

საინტერესოა მისი მეორე ნაშრომი „ნაპოლეონის ჯარისკაცების კარიერა“, რომელიც გამოქვეყნდა იმავე „ვოპროსი ისტორიი“-ში 1985 წლის მეექვსე ნომერში. (19)

„ნოვია ი ნოვეიშია ისტორიაში“ გამოქვეყნდა მისი ორი გამოკვლევა. თავდაპირველად, 1984 წლის მეექვსე ნომერში დაიბეჭდა

მისი ნაშრომი „ჯილდოები და ნახალისება ნაპოლეონის არმიაში“. (20) ხოლო 1986 წლის მეხუთე ნომერში გამოვიდა მისი ვრცელი გამოკვლევა „ნაპოლეონის არმია“. (21) ის ხაზს უსვამს იმ გენეტიკურ კავშირს, რომელიც არსებობდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქას შორის, თუმცა ამ ორი ეპოქის გაიგივება, როგორც ამას ზოგიერთი ფრანგი ისტორიკოსი (ა. ტიერი, ფ. მინიე, ა. სორელი, ა. სობული, ჟ. და კ. ვილარები) ჩადის, ალბათ, მაინც დიდი სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათო შეიძლება იყოს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეს პერიოდიზაცია გვხვდება გასაბჭოებამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში (22, 23, 24, 25). კოტე ბოჭორიშვილმა დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ნაპოლეონის არმია საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს განხორციელებული სამხედრო ღონისძიებების პირმშოა. შეეცადა თვალი გაედევნებინა იმ ევოლუციისათვის, რომელიც მოხდა საფრანგეთის არმიაში რევოლუციისა და ნაპოლეონის დროს.

და ბოლოს, უნდა დავძინოთ, რომ „ფრანცუზსკი ეჟეგოდნიკში“ გამოქვეყნდა მისი კიდევ ერთი საინტერესო გამოკვლევა „საპატიო ლეგიონის ორდენი ნაპოლეონ I-ის დროს“. (26) ეს ბოლო ორი გამოკვლევა მისი სამეცნიერო სტატიებიდან საუკეთესოდ შეიძლება მივიჩნიოთ. ფაქტობრივად, ეს გახლდათ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში აღნიშნული პრობლემის გაშუქების პირველი მცდელობა. ეს სიახლე იყო და იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებაა. ეს შრომები, რა თქმა უნდა, მისი სადისერტაციო ნაშრომის ფრაგმენტებია და მასში, ბუნებრივია, აისახა ამ სოლიდური გამოკვლევის, როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები. მთავარი მართო მატერიალური ნახალისება არ ყოფილა. ამიტომ მისი მნიშვნელობის გადაჭარბება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი, წინსვლა, ამკარაა და ამის უგულვებლყოფა, სწორი არ იქნებოდა. წმინდა თეორიულად, კონცეპტუალურად, საქმე გვაქვს მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულებასთან.

დიდი ალბათობით ის გააგრძელებდა ნაპოლეონის ეპოქის შესწავლას და ყურადღებას მიაპყრობდა სხვა პრობლემებს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია

ის გარემოება, რომ დაწყებულ სამუშაოს გაგრძელება არ მოყოლია. ვფიქრობთ, ეს არ იყო შემთხვევითი და, ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში არსებული რთული სოციალური, ყოფითი, პრობლემებით შეიძლება ყოფილიყო გამონვეული.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, წინამდებარე ნაშრომი კოტე ბოჭორიშვილის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქების პირველი მცდელობაა და შეიძლება ნებსით თუ უნებლიეთ რაიმე გამოგვრჩა და ეს მომავალში გამოირკვევა, მაგრამ საერთო დადებითი სურათი, ალბათ, მაინც არ შეიცვლება.



## ლიტერატურა

1. К. Бочоришвили, Французская армия как общественно-политическая сила во время консульство и империи 1799-1815). Тб., 1982.
2. გ. კილურაძე, 9 თერმიდორის გადატრიალების შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ისტორიის სერია, ტ. 107. თბ., 1964.
3. გ. კილურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 1970.
4. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა გეოგრაფია, თბ., 2005.
5. ვ. თვალავაძე, ახალი ისტორია. 1640-1815. თბ., 1999.
6. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუცია, ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, №1. 1989.
7. მ. კალანდაძე, ახალი ისტორიის ზოგიერთი საკითხი პერიოდიზაციის თაობაზე, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ყურნალი, 9-10. 2015.
8. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 471. ანაბეჭდი 51. საქმე 7484.
9. გ. კილურაძე, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან. (ახალი არმიის ორგანიზება), თბ., 1963.
10. გ. კილურაძე, საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792) თბ., 1982.
11. G. Lefebure, Napoleon, Paris, 1935.
12. В. Сироткин, Наполеон и россия, М., 2000.
13. დ. ცისკარიშვილი, ნაპოლეონი — წიგნი პირველი გენერალი ბონაპარტი, თბ., 1994.
14. Г. Гервипиус, История XIX века, т. 1. 1863.
15. ნ. ნიკოლაძე, გერმანიის მდგომარეობა. თხზულებები, ტ. 2. თბ., 1962.
16. ვ. დონაძე, საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა (XIX საუკუნის მეორე ნახევარი) თბ., 1978.
17. К. Бочоришвили, Французская гвардия при Наполеоне, сообщение академии наук Грузинской ССР. №3.

18. К. Бочоришвили, Итальянские эмигранты – солдаты армии Наполеона, Вопросы истории, №6. 1981.
19. К. Бочоришвили, Карьера Наполеоновского солдата, Вопросы истории, №6. 1985.
20. К. Бочоришвили, Награды и поощрения Наполеоновской армии, Новая и новейшая история, №6. 1984.
21. К. Бочоришвили, Армия Наполеона, Новая и новейшая история, №5. 1986.
22. დ. უზნაძე, ივ. გველესიანი, ახალი ისტორია, (XVIII-XIX სს.), თბ., 1919.
23. ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო, თბ., 1920.
24. თ. ჭუმბურიძე, ახალი ისტორია, ქუთაისი, 1920.
25. ალ. წერეთელი, მსოფლიო ისტორია, ნაწილი 3. ახალი საუკუნეების ისტორია, ქუთაისი, 1920.
26. К. Бочоришвили, Орден почотного легиона при Наполеоне I., Французски Эжегодник 1981. М., 1983.

## **პარი მეორე**

### **ქართული ნაპოლეონიანის წარმატება**

## **თავი პირველი**

### **ქართული სპეციალისტის დადებითი შეფასება**

## **ОТЗЫВ**

На диссертацию К. Г. Бочорилвили «Французская армия как общественно-политическая сила во время консульства и империи (1799-1815 гг.)», Выдвинутой на соискание ученой степени кандидата исторических наук

Существующая по наполеоновской эпохе историческая литература насчитывает свыше 400 тыс. работ, и как заметил акад. Е. В. Тарле, – «... она воистину колоссальна и по-существу обозреть её невозможно...», но она по сей день дополняется все новыми, в том числе оригинальными работами таких известных советских ученых-франковедов, как А. З. Марфред, А. И. Молок, В. М. Далин, Г. Ш. Кигурадзе, Б. Б. Донадзе и др.

На первый взгляд можно удивиться: можно ли еще что-либо нового сказать о Наполеоне, о его политике и войнах?

Диссертация К. Г. Бочоришвили, как нам кажется, является своеобразным ответом на этот вопрос. Молодой исследователь поставил перед собой задачу чрезвычайной сложности, не ставшую до сих пор объектом исследования, как во французской, так и в советской историографии. Исследуемые им вопросы по своему характеру соотносятся с узловыми моментами истории Консульства и Империи во Франции. Хотелось бы так же отметить, что в избрании

темы исследования диссертанту большую помощь оказал его научный руководитель, проф. Г. Ш. Кигурадзе. Представленная к защите диссертация является своеобразным логическим завершением темы, затронутой в докторской диссертации Г. Ш. Кигурадзе, посвященной проблеме французской армии 1789-1794 гг.

Добросовестным и внимательным изучением работ всех предшествующих исследователей, К. Г. Бочоришвили правильно установил круг тех вопросов, которые должны были войти в сфере его специального исследования и это значительно определило выполнение диссертационной работы на высоком научном уровне.

Научно-практическая новизна исследования не вызывает сомнения – автор поставил целью работы анализ наполеоновского военного законодательства, практики его применения и тем самым выяснил некоторые всеобщие закономерности развития армий буржуазного типа; в частности наглядно показал процесс превращения французской революционной армии в профессиональную и захватническую.

Эта проблема чрезвычайно важна, ибо её решение во многом дополняет наши представления о бонапартизме (как формы правления) и позволяет по-новому осветить некоторые малоизвестные вопросы общественно-политической жизни Франции на рубеже XVIII-XIX вв.

Особым достоинством работы диссертанта, с нашей точки зрения, является широкий круг использованных документальных и литературных источников, в первую очередь архивных материалов, до сих пор не привлекавшихся к исследователями. Так, в подтверждении выдвинутых в диссертации основных тезисов, автор привлекает не только обширную корреспонденцию Наполеона Бонапарта, но и материалы из основных архивохранилищ СССР: АВПр, ЦГАДА, ЦГВИА и ЦГИА СССР в Ленинграде, а также рукописного отдела ГБ им. М. Е. Салтыкова-Щедрин. Знаменательно, что диссертант не упускает из виду и последние достижения современной французской и советской историографии, в частности работы 70-х годов XX в.

В первой главе диссертации автор рассматривает социальные аспекты наполеоновского законодательства об армии и практику его

применения. В вопросе формирования профессиональной армии буржуазного типа, как он убедительно показывает, решающую роль сыграла система материального стимулирования солдат и офицеров. При том, автор справедливо считает процесс превращения революционной, народной армии в профессиональную не одноразовым явлением, а поступательным, растянутым на этапы процессом, который раскрывается только на фоне общей трансформации внутренней политики наполеоновского режима.

Диссертант справедливо замечает, что в становлении профессиональной армии значительную роль сыграли военнослужащие с выслугой 10 и более лет, для которых служба в армии становится профессиональным занятием. Здесь же указывается, что такие солдаты и унтер-офицеры в среднем получали больше денег, чем рабочие по найму, и что их ежемесячный оклад намного превосходил доход крестьянина, во время Консульства и Империи. С другой стороны материальное стимулирование солдат и офицеров, система продвижения из солдат в офицеры, на первом этапе становления профессиональной армии буржуазного типа повышала боевые качества наполеоновских военнослужащих; а система военных и социальных видов разового поощрения, как бы дополняла законодательные акты Наполеона в отношении армии, что неразрывно была связана возникновением, становлением и развитием бонапартистского режима.

В то же самое время автор указывает на побочные явления наполеоновской военно-социальной политики, справедливо отмечая её противоречивый характер – с одной стороны – прогрессивность наполеоновской военной системы по сравнению с существующими в остальных странах Европы Феодально-крепостническими порядками в армиях, а с другой стороны – порочность самой практики материального стимулирования, которое имело место в Великой армии. Автор не без основания считает последнее фактором морального разложения солдат и офицеров Великой армии, одной из существеннейших причин, наряду с денационализацией армии, агрессивными войнами и др., способствующи снижению в дальнейшем её боеспособности.

В тоже самое время Бочоришвили К. Г. удачно справился с

